619
1972

ᲔᲠᲝᲕᲜᲐ

№ 5 მაისი 1972

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 5 (426) მაისი, 1972 წ.

გამოცემის წელი 50-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საპირველმაისო პლაკატი.
მხატვარი თ. სამსონაძე.

ლენინის ქალაქი

ჩვენი დიადი სამშობლოს, საბჭოთა ქვეყნის მოძმე ხალხები მთელი გატაცებით ემზადებიან თავიანთი სახელოვანი ისტორიის დიდი და ნათელი თარიღის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის შექმნის ორმოცდაათი წლისთავის შესახვედრად.

დღესასწაულისათვის მზადების დღეებში ჩვენ მოგითხრობთ მოძმე ხალხების ცხოვრებაზე, მათს გმირულ შრომასა და ბრძოლაზე ოქტომბრის მონაპოვრის დასაცავად, კომუნიზმის ასაშენებლად.

ამჯერად ჩვენ ვაქვეყნებთ ჩვენი ცნობილი პოეტების — ლადო სულაბერიძისა და მორის ფოცხიშვილის ნარკვევს ლენინის ქალაქზე, სადაც გადაიშალა პირველი ფურცელი კაცობრიობის ახალი ისტორიისა. ამავე თემას ეძღვნება ცნობილი ოსი პოეტის რევაზ ასაევის ლექსი „ნევის სანაპიროზე“.



ქ. ლენინგრადი. გრიბოედოვის სახელობის არხი.

ჩვენი პირველი მასპინძელი

თვითმფრინავმა გაჰკვეთა ღრუბლების სქელი ფენა და ლენინგრადის მიწაზე დაეშვა. ჩვენ პირველადა ვართ აქ და, რა თქმა უნდა, არ გვესიამოვნა, რომ ღრუბლიანი დღე შეგვესწრო, მაგრამ ტაქსის შოფერმა დაგვაიმედა — ჩვენმა ქალაქმა ასე იცის, შუადღისას შეიძლება მზემაც გამოანათოსო; რომ გაიგო ლენინგრადში პირველად ვიყავით, სასტუმროში მისვლამდე, ყოველი ისტორიული ადგილი თუ შენობა კარგად გაგვაცნო. ჩვენ გაოცებულნი ვუსმენდით. ასე გვეგონა, ტაქსის შოფერი კი არა, ისტორიკოსი გვესაუბრებოდა. შესანიშნავად იცოდა მან ლენინის ქალაქის აწმყოც და შორეული, თუ ახლო წარსულიც. უბრალო, მხიარული ბიჭი პეტრე ვორონოვი თბილისში ყოფილა და მსუბუქი იუმორით გამთბარ ენაწყლიან საუბარში ზოგი რამ მოიგონა კიდეც. იგი პაპის-პაპით ლენინგრადელია, და ამ ხანმოკლე მგზავრობამ დაგვარწმუნა, თუ რარიგ გატაცებით ჰყვარებია მას მშობლიური ქალაქი. ჩემი ქალაქის მშვენება უპირველესად ნევაა, გვითხრა მან და სასტუმროსკენ მიმავალ გზას გადაუხვია. ჩვენ მართლაც მოგვხიბლა ნევის დიდებულმა სანახაობამ. ღრუბლიანი დღის ლეგა ფერი დასდებოდა ძლევამოსილ და მრავალჭირნახულ მდინარეს. შოფერმა სანაპიროდან მარცხნივ შეუხვია და მარსის ველებერთელა მოედანთან, სუვოროვის ძეგლის ახლოს გააჩერა მანქანა.

ეს ძეგლი აქ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში აღუმართავთ.

ბლოკადის დღეებში ლენინგრადელებმა ქალაქის ყველა ქანდაკება საიმედოდ შეფუთეს მიწით გატენილი ტომრებით, ბევრი მოხსნეს და საიმედო ადგილას შეინახეს. სუვოროვის ძეგლისთვის ხელი არ უხლიათ. იგი კვლავ გმირობისა და შეუდრეკლობის სიმბოლოდ იდგა ნევის ნაპირას. ფრონტზე მიმავალი ჯარისკაცები და შეიარაღებული ლენინგრადელები ამ ძეგლის წინ ერთ წამს შეჩერდებოდნენ, მშობლიური ქალაქის დასაცავად ფიცს სდებდნენ და ისე მიემართებოდნენ ფაშისტებთან საბრძოლველად. მოხდა სასწაულიც: ლენინგრადის ბლოკადის დღეებში არც ერთი ბომბი არ დასცემია ამ დიდებულ ქანდაკებას.

სანამ სასტუმროში არ დაგვაბინავა, შოფერი მანამ არ გამოგვემშვიდობა. ახლა რამდენიმე გამოძახება მაქვს, იმას მოვილევ, საღამოხანს მოგაკითხავთ და მე შემოგატარებთ ქალაქსო.

პირველი მაცნე ოქტომბრისა

სასტუმროში ვეღარ გავჩერდით.

ლენინგრადი!

ლენინის ქალაქი!

ლენინის სახელთან არის დაკავშირებული ამ ქალაქის ახალი ცხოვრება, დიდი ოქტომბრის მღელვარე ეპოპეა, მთელი საბჭოთა კავშირის ისტორია. აქ დაირწა ხალხთა ძმობის აკვანი. ამიტომაც ლენინგრადელები გაათკეცებული ენერგიით ემზადებიან სახელოვანი იუბილესათვის — საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის.

კვირა დღეა. ქალაქის ფართო ქუჩებს ეტყობა, რომ ლენინგრადელები ისვენებენ. ნევის პროსპექტი სავსეა ხალხით. მდინარის მშვიდ და წყნარ ტალღებზე ისვენებს ოქტომბრის ლეგენდარული ხომალდი „ავრორა“, პირველი მაცნე კაცობრიობის ახალი ისტორიის დასაწყისისა. ბალტიის ფლოტის ვეტერანი ახლა რევოლუციის მუზეუმად არის გადაქცეული და ყოველდღიურად უამრავ მნახველს იზიდავს. გემის ქვემეხები კვლავ მაღლა შემართულან. ომის დროს ლენინგრადის გმირმა დამცველებმა ხომალდი ნაღმებს აარიდეს და წყალში ჩამალეს, ქვემეხები კი ხმელეთზე გადმოიტანეს. ეს ქვემეხებიც მრისხანედ ქუხდნენ ლენინგრადის ბლოკადის დროს.

რამდენი. რამ წაგვიკითხავს მასზე, რამდენჯერ გახმაურებულა „ავრორა“ ჩვენი პოეტების ლექსებში; იგი საქვეყნო განთიადის სიმბოლოდ იქცა.

ხომალდის ახლოს, ნაპირზე სხვადასხვა ქალაქებიდან, რესპუბლიკებიდან და უცხოეთიდან ჩამოსული მოქალაქეები დგანან, ისინი თვალს ვერ აშორებენ „ავრორას“: მღერიან, მხიარულად საუბრობენ და სურათებს იღებენ ხომალდის ფონზე.

უფროსების მხარდამხარ

მარსის ველზე, ვეებერთელა მოედნის შუაში მარადიული ცეცხლი ანთია იმ გმირთა სამახსოვროდ, რომლებიც გმირული სიკვდილით დაეცნენ რევოლუციის პირველ დღეებში. ხალხის ნაკადი განუწყვეტლივ მიედინება ამ წმინდა საფლავებისაკენ. დაღუპულთა გვარები ქვის კედლებზეა მიწერილი. გამოჩენილ რევოლუციონერთა საფლავებზე პატა-

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

სმოლნი. მხატვარი ო. პოჩტენი.

რა ოთხკუთხი ლოდები დევს, ერთ ლოდზე წარწერილია ნორჩი მსახიობ-აგიტატორის კოტე მღებრიშვილის სახელი და გვარი.

ეს ის კოტე მღებრიშვილია, ცხრა წლის ქართველი უმაწვილი, რომელიც სამოქალაქო ომის დროს მგზნებარე სიმღერებით ალაფრთოვანებდა რევოლუციის ჯარისკაცებს ცეცხლის წინა ხაზზე. მტრის ტყვიამ შეაწყვეტინა მას სიმღერა, მაგრამ ეს მარადიული ცეცხლის ალი ალარასოდეს გაჰქრება მის საფლავთან.

საფლავთან ქედდახრილები ვიდექით. მოვიდა ერთი შუახანსგადაცილებული ქალი. საფლავის ლოდს დაეჩერდა, მერე ჩვენ შემოგვხედა და ნაღვლიანად თქვა, რა პატარა მოუკლავთო. ჩვენ მას მოკლედ გავაცანით კოტეს ვინაობა. მან გულისყურით მოგვისმინა და გვიპასუხა:

— წყეულები, ბავშვებსაც არ ინდობდნენ. ლენინგრადის ბლოკადის დროს ვინ მოსთვლის რამდენი ბავშვი იმსხვერპლა ტყვიამ და შიმშილმა. არასოდეს დამავიწყდება ერთი მათგანი, პატარა მევიოლინე მუსია. 1941 წელს მუსიას დედა სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობდა. ერთხელ, მუსია რომ შინ მოვიდა, დედამ უთხრა: „შვილო, დღეს ერთი ხელმოგლეჯილი ჯარისკაცი მოიყვანეს ლაზარეთში, დავიწვი მისი ცოდვით, ისე აწუხებდა ტკივილები, ვერაფრით ვერ დავუცხრეთ. წადი, წაიღე ვიოლინო, მიდი მასთან და დაუკარი. ვინ იცის, იქნებ ცოტათი მაინც გაერთოს და ტკივილი ჩაუწყნარდეს“. მუსიამ მაშინვე ხელი დასტაცა ვიოლინოს და გაიქცა. მივიდა ჯარისკაცის საწოლთან, დაჭრილი კვნესოდა და ოხრავდა. მუსიამ დაკვრა დაიწყო. სხვა დაჭრილები, ვისაც კი ფეხზე დგომა შეეძლო, მუსიას გარშემო შემოიკრიბნენ. დაჭრილი ჯარისკაცი მართლაც ნელ-ნელა დამშვიდდა, მერე გაირინდა და სანამ მუსია უკრავდა, სმა არ ამოუღია. ამის შემდეგ ჯარისკაცი გვერდიდან ალარ იშორებდა პატარას.

მუსია ლენინგრადის ახლოს, სოფელში ცხოვრობდა დედ-მამასთან ერთად. გერმანელებმა მოახერხეს ამ სოფლის ალება. ფაშისტები მუსიას სახლში შეცვივდნენ და ტყვიებით დაცხრილეს მისი მშობლები. ოთახის კუთხეში მიყუჟულმა მუსიამ ტირილი დაიწყო. გერმანელმა ოფიცერმა ტახტზე დადებულ ვიოლინოს მოჰკრა თვალი. შენიაო, ჰკითხა დამტვრეული რუსულით. მუსიამ თავი დაუქნია. აბა, დაუკარი, თუ კარგად უკრავ, სიკვდილს გადარჩებიო. მუსიამ უეცრად ქვითინი შესწყვიტა, თვალები ამოიმშრალა, ტახტთან მივიდა, ვიოლინო მოიმარჯვა, ოფიცერს თვალები გაუსწორა და... უეცრად გაისმა „ინტერნაციონალის“ ჰიმნი. ცოტახანს უსმინა ოფიცერმა, მერე ავტომატი შემართა და ტყვიით დაცხრილა უშიშარი გოგონა.

ახლა იმ სკოლის კედელზე, სადაც მუსია სწავლობდა, მამაცი გოგონას უკვდავსაყოფად მემორიალური დაფაა გაკრული. სკოლაში მისი სახელობის პიონერული რაზმი არსებობს.

ჩვენმა თანამოსაუბრემ ამბის მოყოლა დაამთავრა, კოტეს საფლავის პატარა ლოდს კიდევ ერთხელ დააჩერდა, გამოგვემშვიდობა და ნაღვლიანად გაგვშორდა.

ლენინგრადი დღეგრძელობს

მეორე დილით ისევ ლენინგრადის ქუჩები, ბულვარები, სკვერები და ხიდები... დიდებული ხიდები... მუზეუმები... მაგრამ ყველაზე მთავარი — ცოცხალი ადამიანები არიან. სტუმართმოყვარე, საქმიანი, ლაღი და სიცოცხლის მოყვარული. განა ამ სიცოცხლის სიყვარულმა არ გადაატანინა ლენინგრადელებს ომის საზარელი წლები — ლენინგრადის ბლოკადა.

ლენინგრადი დღეგრძელობს, იბრძვის, აშენებს.

„უამრავი ტურისტი ირევა ლენინგრადში. მათი ცნობა ძნელი არ არის. ლენინგრადელს უფრო საქმიანი სახე აქვს. მიდის დაფიქრებული, სადღაც მიეჩქარება, ათასი საზრუნავი აქვს.

სტუმარს კი სხვა ნაბიჯი აქვს. ხან ერთ, ხან მეორე შენობას შესცქერის, უნდა ყველაფერი ნახოს, მოასწროს, ამიტომ არის, რომ ისიც ქალაქის ტემპში ებმება, ჩქარობს, სადღაც მიისწრაფვის და ამ სწრაფვას დასასრული არ უჩანს. ხანახობას ხანახაობა სცვლის.

ლენინგრადი—ეს მონუმენტურობაა, მისი მთლიანად აღქმა მხოლოდ მხატვრულ წარმოსახვას თუ შეუძლია; მისი გრანდიოზულობა და სიდიადე, იმავე დროს, სტოვებს სისადავისა და ზომიერების საოცრად ჰარმონიულ შთაბეჭდილებას. ბუბუნებს ეს ვეება ქალაქი და, იმავე დროს, რაღაც დიდ მყუდროებას გრძნობთ. და ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს აგერ, ქუჩის კიდესთან დადგმული პატარა საბავშვო ეტლი, რომელშიაც თოთო ლენინგრადელს სძინავს. მშობლები, ალბათ, აქვე ახლო არიან. სძინავს ღრმა, ბავშვური ძალით პატარა ლენინგრადელს.

აი, სახელგანთქმული ერმიტაჟი. აქ დილიდანვე თავს იყრიან ადამიანები. დიდძალი დამთვალიერებლები ჰყავს ერმიტაჟს. ჩვენ რიგში ვდგებით... დილაა... ბედი გვწყალობს, რადგან თოვლჭყაპია და ხალხი დღეს შედარებით ნაკლებად აწყდება აქაურობას, თუ კი ეს ნაკლებობას ნიშნავს. რიგია ქუჩაშიც, შესასვლელებში... დარბაზში კი მთელი საათობით იცდიან, რომ პალტოები გაიხადონ, გარდერობში ერთი უბრალო ლურსმანიც კი არ არის არსად თავისუფალი.

ლენინგრადში არა მარტო ხალხი იბრძოდა, არა. აქ ყველა შენობა, სახლი, ქუჩა, ხიდი, ძეგლი თუ მოედანი თანაბრად იყოფდა იმ გაჭირვებას, რაც ლენინგრადის ბლოკადის ჟამს დაიწყო.

ახლა აღარ ატყვია ქალაქს ომის ნაკვალევი. ლენინგრადელებმა არა მარტო ომის წინადროინდელი სახე მისცეს საყვარელ ქალაქს, არამედ მრავალი ახალი პროსპექტი, ქუჩაც და მშვენიერი ახალი უბნები ააშენეს.

ერთ-ერთ ახალ პარკს ლენინგრადელებმა „გამარჯვების პარკი“ უწოდეს. პარკის შესასვლელთან თვალი მოვკარით: ზის გრძელ მერხზე მოხუცი ქალი და მის წინ დაფრენილ მტრედების გუნდს საკენკს უყრის. თბება მზეზე მოხუცი ქალი და მის ფერხთით დაგოგმანებენ მშვიდობის მაუწყებელი ფრინველები.

პარკი სავსეა მამაცი ლენინგრადელების ბიუსტებით, რომელთაც სიცოცხლე არ დაიშურეს საყვარელი ქალაქის დასაცავად.

მოდიან და მოდიან ლენინგრადელები ამ ბიუსტებთან და ახლა, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება ხალხთა დიადი ძმური ოჯახის — საბჭოთა კავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის, ისინი განსაკუთრებული სიამაყის გრძნობით შესცქერიან აწ სამარადუამოდ ქვაში გაცოცხლებული მამაცი თანამოქალაქეების ნათელ სახეებს.

პარკში შესასვლელთან კი გრძელ მერხზე, შუადღის მზეს მიფიცხებია მოხუცი ქალი და პურის ნამცეცებს უყრის მის ფერხთა წინ მოღუღუნე მტრედების გუნდს.

ძმობის ხიდი

ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში, დიდი ძნელბედობის — სპარსელებისა და თურქების შემოსევების დროს ქართველმა მეფეებმა, დიდებულებმა, მეცნიერებმა და პოეტებმა მტრისაგან თავდასახსნელად მოსკოვს მიმართეს. მომდევნო საუკუნეების მანძილზე ჯერ მოსკოვში, ხოლო შემდეგ პეტერბურგში, მისი დაარსების დღიდან (1703 წელი) ჩნდება ქართული კერები, რომელთაც ჩვენს ისტორიაში უაღრესად დიდი როლი შეასრულეს.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ კი უფრო ინტენსიური ხდება ქართველების ლტოლვა პეტერბურგისაკენ. ნიჭიერი ახალგაზრდობა ამ ქალაქისაკენ მიიმართება განათლების მისაღებად. აქ სწავლობდა პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, აქვე სასულიერო აკადემია დაამთავრა შემდეგ ცნობილმა სასულიერო მოღვაწემ იოანე ხელაშვილმა.

ფასდაუდებელია მე-19 საუკუნის ქართველი ინტელიგენციის აღზრდის საქმეში პეტერბურგის უნივერსიტეტის როლი. აქ მიიღო მრავალმხრივი განათლება დიდმა ქართველმა განმანათლებელმა სოლომონ დოდაშვილმა. მის თვალწინ ჩაიქრა დეკაბრისტების ქარიშხლიანმა დღეებმა. იგი პირველი ქართველი მოღვაწე იყო, რომელიც გულმხურვალედ დაუახლოვდა დეკაბრისტებს; ს. დოდაშვილი დიდხანს ინახავდა სიკვდილის წინ რილეევის მიერ ცოლისადმი მიწერილ წერილსა და რილეევის ლექსის „ნალივაიკოს აღსარების“ გრიგოლ ორბელიანისეულ ქართულ თარგმანს. შემ-

რევაზ ასათიანი

კოსტა ხეთაგურავს

ცის თვალუწვდენელ,
ლურჯ პერგამენტზე
ვერცხლის ბეჭედი დაასვა მთვარემ,
და რძისფერ სხივთა ნაზი ალერსით
სულმთლად აივსო ვარსკვლავთა მხარე.
ახლა,
სენატის ძველ მოედანზე,
ჩემს სიცოცხლეში პირველად ვდგავარ.
ვხედავ:
მერანი შემდგარა ყალყზე
და პეტრე დიდი გასცქერის ქალაქს.
ჩემს თვალწინ ნელა
ირწევა ნევა,
ნეტავ,
პასუხის გამხადოს ღირსი:
აქ ერთი ოსი პოეტის მზერას
თუ გრძნობდნენ ერთ დროს ტალღები მისი?
მინდა,
რომ წყალმა აიდგას ენა,
წუნარ ტალღას
რამე წამოცდეს იქნებ.
მაგრამ ყინულის საბანქვეშ თვლემა
ვერას ანიშნებს ჩემს ბავშვურ ფიქრებს...
მთვარის ემბაზში მდინარე ელავს,
მთელი მდინარე თითქოს ანთია.
და ამ სინათლეს,
ვით ცისარტყელა,
კიროვის ხიდი გადასალტვია.
გმირმა ჩკალოვმა
სწორედ ამ ხიდქვეშ
გაინავარდა ფოლადის ფრთებით.
ღარიბი კეთილს ხედავსო სიზმრებს, —
ცხადშიც არ გახსოვს მსგავსი სიზმრები.
შენ არ გინახავს
„ავროროს“ მზერამ
როგორ გაუხსნა გზა ხალხის სვე-ბედს;
რევოლუციის უკვდავი კერა
როგორ ებრძოდა შიმშილს და მეფეს.
შენ არ გინახავს,
ჩვენმა თაობამ
როგორ დაიცვა ოქტომბრის დროშა,
როგორი ჰქონდათ გამბედაობა,
იმ საშინელი ბლოკადის დრო-ყამს.
...ხელს უწვდის მოსკოვს
ძლიერი სწორი
და განიერი პროსპექტი ნევის.
დავდივარ,
გული სავსე მაქვს თრთოლვით
და თითქოს მესმის ჩურჩულიც შენი!
ღგას ჩემს წინ
შენი აკადემია
გაუხუნარი და ძველისძველი,
თითქოს ციური ნაკადებია,
ისე შრიალებს ბადნარი სველი.
ვისმენ საყვარელ ფიჭვების ფეთქვას,
და სულის ფსკერზე იმგვარად მთბილა,
ასე მგონია,
ფიჭვებთან ერთად
მადლს აფრქვევს შენი „ოსური ლირაც“.
სადღაც ბულბულის გაისმა სტვენა,
ნევის ნიავმაც დაბერა ლაღად;
და მჯერა,
მჯერა,
ათასჯერ მჯერა, —
აქ შენს ნაკვალევს უთუოდ ვნახავ!
დავხედავ ნევას
და მის სარკეში
შენი თვალების ციმციმს მოვძებნი, —
ერთ დროს ხომ ჰვრეტდი
ტალღებს დაგეშილს,
ო, ღირსეულო შვილო ოსეთის
...გადაცისკრებულ ცის პერგამენტზე
მზემ მზისოდენა
დაასვა დაღი
და თვალისმომჭრელ სხივთა ალერსში
სულმთლად გახვია ქალაქი-ბაღი.

თარგმნა ოთარ შალამბერიძემ.

თხვევით არ უთარგმნია დიდ ქართველ პოეტს გრიგოლ ორბელიანს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი პოეტის კონდრატი რილეევის ეს ლექსი. ქართველმა პოეტმა ლექსს მხოლოდ „აღსარება“ დაარქვა სათაურად და სათაურს ქვეშოთ მიაწერა: „მიბაძვა კონდ. რილეევის ლექსისა: ნალივაიკოს აღსარება“; გრ. ორბელიანმა რუსი პოეტის ლექსი გადმოაქართულა და მიუსადაგა თავის თანამედროვეთა პატრიოტულ შემართებას.

სამოციანი წლების რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულმა მოძრაობამ დიდი გავლენა მოახდინა იმჟამად იქ, პეტერბურგის უნივერსიტეტში მოსწავლე ქართველ სტუდენტებზე. ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, თავის თანამოაზრე ქართველ სტუდენტებთან ერთად, გატაცებით კითხულობენ ჩერნიშევსკის „სოვრემენნიკს“. ამის გამო ნ. ნიკოლაძე იგონებს: „რა აღტაცებით და აჩქარებით, რა სიხარბით და დაუღალველობით ვეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას, რანაირად გვიფეთქდა ჩვენ მაშინ გული, გვიღელავდა გრძნობა და გვეწოდა ტვინი და გონება! რამდენი გრძელი, ბოლომოუღებელი, ჩრდილოეთის ზამთრის ღამე გაგვითენებია ჩვენ მათზე დავაში, და რამდენი შემდეგი ღამეები მოუსვენრად ვუწვალებივართ იმ გრძნობის მღელვარებას, იმ აზრის მუშაობას, რომელიც ამ ჟურნალს ჩვენში მოუხდენია!“

პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტობის დროს იწყება ილიასა და აკაკის მეგობრობა, აქ იფურჩქნება მათი პოეტური ნიჭი, აქ ჩამოყალიბდა მათი ეროვნული და სოციალური განთავისუფლების იდეები. ამ დროს შეხვდა აკაკი წერეთელი დიდ უკრაინელ პოეტს ტარას შევჩენკოს, დიდმა კობზარმა შეაყვარა აკაკის უკრაინელი ხალხი. სიკვდილამდე არ განელებია აკაკის ეს სიყვარული.

ახლა, ნევის სანაპიროზე, ქართველი კაცი, უნივერსიტეტთან რომ ჩაივლის, არ შეიძლება თვალწინ არ დაუდგეს იმ გზნებარე სტუდენტების წმინდა აჩრდილები. აქ დადიოდნენ ისინი წიგნებით ხელში, რუს მეგობრებთან ერთად, ამ უნივერსიტეტის ჭერქვეშ ისხდნენ და უსმენდნენ გამოჩენილ რუს მეცნიერებს, ისხდნენ უმდიდრეს ბიბლიოთეკებში და თავიანთი გონების ჰორიზონტს აფართოებდნენ, რომ შემდეგ მშფოთვარე თერგი გადმოევლოთ და თვითმპყრობელობის უღელქვეშ მგმინავი ერისა და მამულის სახსნელად სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ.

ოთხი წელიწადი დაჰყო ილიამ პეტერბურგში. თუ რა კვალი დააჩნიეს ამ წლებმა მის სულიერ სამყაროს, ეს კარგად ჩანს თვით ილიას შთაგონებული სიტყვებიდან: „იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული... ო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთაქვეშ არ ჩასტყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა“.

მართლაც, რიგიანად გაიარეს ეს ხიდი ჩვენმა საოციანელმა „თერგდალეულებმა“, რიგიანად გაიარეს და მომავალ თაობებს ახალი, ბურჯმაგარი, ფართო ხიდი გაუდეს თბილისიდან ლენინგრადამდე.

დღეს ლენინის ქალაქი საბჭოთა ხალხების გაერთიანებული ძმობისა და მეგობრობის დიადი კერაა. ამაზე მეტყველებს მისი წარსულიც და აწმყოც.

ლადო სულაბერიძე,
ბორის ფოცხიშვილი.

ლენინგრადის ფრონტი.
მეომრები შეტევაზე.

უკვე გიკლვნით, საპუიზლოვ!

ყველას ბებია

პენსიონერი ანელია სტანკევიჩი ქუთაისში ცხოვრობდა, მარტოხელა იყო. მეუღლე და შვილი სამამულო ომში დაეღუპა.

ახლობლები არა ჰყავდა მოხუცს, ამიტომ პიონერი ლეილა სტურუა და მისი მეგობრები მოინახულებდნენ ხოლმე და ეხმარებოდნენ საოჯახო საქმეში.

ერთხელ პიონერები ბებია ანელიას ბინის ქირის შესატანად რომ მიდიოდნენ, თქვეს, მოდით საქალაქო საბჭოს აღმასკომში მივიდეთ და ვთხოვოთ, როგორც პენსიონერს ბინის ქირაში შეღავათი გაუწიონო.

მართლაც წავიდნენ. აღმასკომის მუშაკს დაუწყეს ახსნა-განმარტება, მაგრამ ვერა გააგებინეს რა. ყველა ერთად ლაპარაკობდა.

— მოიცათ, მოიცათ, ყველა ერთად ნუ ლაპარაკობთ, ვისი ბებიაც არის, იმან მითხრას რაშია საქმე.

— ყველას ბებიაა!

— როგორ? — იკითხა გაკვირვებულმა მუშაკმა.

— არა, არავის ბებია არ არის, — სცადეს საქმის გამოსწორება ბავშვებმა.

— არავის ბებია არ არის? მაშ რაზე შეწუხებულხართ?

— მოიცათ ბავშვებო, მე ვეტყვი ყველაფერს, — თქვა ლეილამ და აუხსნა რაშიც იყო საქმე.

— ეს სულ სხვა ამბავია. დაწერეთ განცხადება და დატოვეთ.

პიონერები ასეც მოიქცნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ სკოლაში სახლმმართველობის წარმომადგენელი მივიდა და პიონერებს უთხრა, სამხედრო კომისარიატიდან პენსიონერობის ცნობა მოიტანეთო.

იმ დღესვე წავიდნენ პიონერები, ცნობა აიღეს და სახლმმართველობაში მოიტანეს.

პიონერებმა მიზანს მიაღწიეს. ბებია ანელიამ კი ძალზე გაიხარა.

შეუპოვარი გოგონა

ქვეყანა ომით მიყენებულ ჭრილობების მოშუშებას შეუდგა. პარტიამ საქართველოს მეჩაიეებს ახალი დიდი ამოცანები დაუსახა.

პიონერები, როგორც ყოველთვის, ახლაც უფროსების მხარდამხარ შრომობდნენ ჩაის პლანტაციებში.

ერთ დღეს ნათელა ჩელებაძე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჰუსეინ ჭყონიასთან მივიდა. მაშინ გოგონა თორმეტი წლისა იყო.

— ძია ჰუსეინ, მომეცით ჩაის პლანტაცია!

თავმჯდომარემ გაკვირვებით შეხედა გოგონას, მომეყურაო, ეგონა და ჰკითხა:

— რა გინდა, შვილო?

— პლანტაცია გამომიყავით, მოვუვლი, მოვკრეფ! თავმჯდომარეს სახეზე გაჯავრება გამოეხატა.

— სკოლაში შენს მაგივრად ვიღამ ისწავლოს? მე ხომ არა?

— სკოლაშიც ვისწავლი და ჩაისაც მოვკრეფ.

— როგორ?

— ადრე ავდგები და გვიან დავწვები, — გაბედულად თქვა გოგონამ.

ეს თხოვნა ბავშვურ გულუბრყვილო თხოვნას არა ჰგავდა, თავმჯდომარემ ნათელას თვალებში შეუპოვრობა შენიშნა და დათანხმდა. პატარა ნაკვეთი მისცა, დედამისის პლანტაციის გვერდით.

გახარებული გოგონა იმ დღიდანვე შეუდგა საქმეს. როცა ჩაის კრეფის სეზონი დამთავრდა, დაიანგარიშეს, ყველა გაკვირვებული დარჩა, ნათელას ერთი ტონა ჩაის პირველხარისხოვანი ფოთოლი მოეკრიფა.

ამის შემდეგ უფრო მეტი ნდობით შეხედეს კოგონას და ახლა, როგორც უფროსებს, მასაც ნახევარი ჰექტარი პლანტაცია მოუზომეს.

სარეკორდო მოსავალი მიიღო ნათელამ თავის ნაკვეთზე — 6.750 კილოგრამი. ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის საშუალო სკოლის რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ნათელა ჩელებაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ეს იყო 1949 წელს.

ქართული წერილი

იმ დღეს ლეილა ნოზაძემ და დათო კოკაიამ უკრაინელი მეგობრების ბარათი მიიღეს, გახსნეს და გაოცდნენ, ქართულად იყო დაწერილი. წერილი რაზმში წაიკითხეს ყველას გასაგონად. კი

ბოიკის ვაჭრობანი

რევაზ ჩხარჯიშვილი

ძელმიწურში უმცროსი ლეიტენანტი ზაბაგა შემოვიდა.

— ამხანაგო ბატალიონის მეთაურო, ურალიდან სატანკო ათეული ჩამოვიდა, — თქვა მან.

— ყოჩაღ! — თვალები გაუნათდა სატანკო ბატალიონის მეთაურს, გვარდიის მაიორს კორობოვს.

იდგა 1944 წლის სუსხიანი დეკემბერი. ჩვენი ჯარები ემზადებოდნენ ცნობილი „ვისლა-ოდერის ოპერაციის“ განხორციელებისათვის. ოპერაციის მიზანი იყო მთლიანად გაენთავისუფლებინათ პოლონეთი და შეეჭრილიყვნენ გერმანიის ტერიტორიაზე.

სწორედ ამ ხანებში მაიორ კორობოვის სატანკო ბატალიონმა ახალი შევსება მიიღო.

მწყობრში გაჭიმული იდგა ურალიდან ჩამოსული სატანკო ათეული. კორობოვმა სათითაოდ შეათვალიერა მებრძოლები, გაუღიმა, გაესაუბრა, გაეხუმრა.

უეცრად წარბები შეჭკრა. იგი გაკვირვებით დააცქერდა ერთ ტანკისტს. მერე პოლიტხელს მიმართა:

— აი, ნახეთ, ვინ გამოუგზავნიათ, ეგ ბღარტი შეძლებს ჩვენი დიდი საბრძოლო დავალების შესრულებას?!

მის წინ ოცდაერთი წლის ყმაწვილი, მომცრო ტანის, სუსტი აგებულების, ბავშვური სახისა და გულუბრყვილო გამომეტყველების ტანკისტი იდგა.

— თქვენი გვარი! — მკაცრად მიმართა ბატალიონის მეთაურმა.

— გვარდიის უფროსი სერჟანტი დანელია! — იყო მკვირცხლი პასუხი.

— გაგზავნეთ უკან! — ბრძანა მაიორმა.

დაწუნებულ ტანკისტს სახე მოეღრიცა, ყელში ბოღმა მოაწყა და ენა ვერ დასძრა.

თვალებზე ცრემლი მოადგა.

ბატალიონის პოლიტხელს დუბოვს ღიმილი მოერია.

— ამხანაგო ბატალიონის მეთაურო, — მიმართა მან, — იქნებ ივარგოს.

— გაგზავნეთ უკან! — კვლავ გაიმეორა მაიორმა.

„გაგზავნეთ უკან“... ვაი სირცხვილო. ამის შემდეგ თვალებს სადღა გაახელ ამირან დანელია? ეს იყო შენი ოცნება?! ამისათვის იბრძოდი ფრონტზე სამი წელი?! არ სჯობდა იქ, ვორონეჟის ფრონტზე დარჩენილიყავი? ამისათვის ეხვეწებოდი უფროსებს სატანკო სასწავლებელში გამგზავნეთო?! სატანკო სასწავლებელი ექვსი თვის ნაცვლად სამ თვეში დაამთავრე, ყველაფერში ფრიადი მიიღე, ყველას შეაყვარე თავი... გახსოვს, სუსხიან ზამთარში საგუშაგოზე არ გგზავნიდნენ არც უფროსები, არც მეგობრები: სამხრეთიდან ჩამოსული კაცი ჩვენს ყინვებს ვერ გაუძლებსო. იმ რჩეულთა შორის, ვისაც წილად ერგო სატანკო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ურალიდან ახალი სატანკო კოლონა წაეყვანა უკრაინის პირველ ფრონტზე და მაიორ კორობოვის ბატალიონში ჩაერიცხათ, ამირან დანელიაც მოხვდა. ახლა კი, თვითონ კორობოვი იწუნებს გამოცდილ მებრძოლს — პატარა და სუსტიაო. ბოლოს და ბოლოს, იმ აყლაყუდას, ეგერ, თავში რომ დგას, სიმარდეში მაინც ვჯობებ, ანდა მის გვერდით რომ დგას, კურატივით ჩასუქებულია და ძლივს მოძრაობს, იმას ვერ ვჯობებ?!

— ამხანაგო ბატალიონის მეთაურო, — ძლივს ამოიღო ხმა ამირანმა, — გთხოვთ დამტოვოთ, ნუ გამაბრუნებთ უკან...

კორობოვი შეჩერდა. ჩაფიქრდა.

— მძიმე ბრძოლები მოგველის... — თქვა მან.

— ბრძოლებისა არ მეშინია, — მოუჭრა ამირანმა.

— დარჩეს, ამხანაგო მაიორო, ჩემთან ჩავრიცხავ ეკიპაჟში! — თქვა უმცროსმა ლეიტენანტმა ზაბაგამ.

— თანახმა ვარ! — წამოიძახა დანელიამ.

ირგვლივ ხარხარი ატყდა.

— დარჩეს, — სიცილით თქვა შტაბის უფროსმა ზაიცევმა, მერე ამირანს მიუბრუნდა, — ოღონდ ოცი ჰიტლერელი შენს ანგარიშზე იქნება.

— არის ოცი ჰიტლერელი ჩემს ანგარიშზე! — მიუგო ამირანმა და შვებით ამოისუნთქა.

* * *

დადგა 1945 წლის იანვარი. დედამიწა თოვლს დაეფარა. სიცივე ძვალრბილში ატანდა.

ეკიპაჟის მეთაურმა ზაბაგამ საბრძოლო დავალება მიიღო, ეკიპაჟს გააცნო იგი და აუხსნა მისი მნიშვნელობა. მერე ამირანს მხარზე დაჰკრა ხელი, თვალი ჩაუკრა და გაუღიმა.

— აბა, დანელია, არ შემარცხვინო, ჩვენს ვაუკაცობაზეა დამოკიდებული ჩვენი ბატალიონის ბედი: გავიმარჯვებთ — გზას გავუხსნით ჩვენს ნაწილს, დავმარცხდებით და — ჩაიშლება ყველაფერი...

იმ დღეს სამი ტანკი დაიძრა ბატალიონიდან. თითოეულ ტანკში ხუთი კაცი იჯდა, ყველას თავისი საქმე ჰქონდა დაკისრებული. ოღონდ სამივე ტანკის ეკიპაჟს ერთი საბრძოლო დავალება უნდა შეესრულებინა: გაერღვიათ მოწინავე პოზიციები და დაეზვერათ მტრის განლაგება.

დავალება მეტად ძნელი, რთული და პასუხსაგები იყო.

ტანკები დაიძრნენ. წინ გაიჭრა ზაბაგას ტანკი, რომლის რადისტი და მეტყვიამფრქვევე ამირან დანელია იყო.

* * *

საბჭოთა ტანკები გორაკს ეფარებოდნენ, ხევ-ხევ მიიწევდნენ წინ. და როცა ხევი აათავეს, მთელი სისწრაფით შეიჭრნენ მოწინაალმდეგის განლაგებაში, სადაც მტრის ხუთი ტანკი და მოიერიშე ქვემეხები იყო საბრძოლოდ გამზადებული.

— ბიჭებო, წინ! — დაიძახა ზაბაგამ, — ცეცხლი ფაშისტებს!

მტერიც დაიძრა. მაგრამ ვიდრე ცეცხლს გახსნიდა, დაიქუხა ჩვენი ტანკის ქვემეხმა. პირველივე ჭურვი მიზანს მოხვდა. სვასტიკიანი ტანკი შეტორტმანდა, მეთაურის ჯიხურში ალი ავარდა. ალმოდებული ტანკიდან ფაშისტები ამოძვრნენ, მაგრამ ამირან დანელიამ ტყვიამფრქვევის ჯერით ყველანი იქვე მიაწვინა.

— ეს იმ ოცის ანგარიშზეა, ამხანაგო მეთაურო! — დასჭყივლა ამირანმა.

— ყოჩაღ, ქართველო! — შესძახა ზაბაგამ, — ზუსტი თვალი გქონია.

მტერმაც დაიწყო სროლა, ერთი ჩვენი ტანკი ცეცხლის ალში გაეხვია.

ჩვენმა ქვემეხებმა მტრის კიდევ ორ ტანკს შეულეწეს ფერდები.

— ახლა ორი ორზე ვართ, წინ! — დაიძახა ზაბაგამ.

მძღოლმა ტანკი წინ გააქანა. მას აედევნა ჩვენი მეორე ტანკიც, მაგრამ მტრის ყუმბარა მიზანში მოხვდა და აფეთქდა.

— ბიჭებო, წინ! — თავგანწირვით იძახის ზაბაგა და ქვემეხს უშენს მტრის ტანკს.

— წინ! — იძახის ამირანიც და ტყვიამფრქვევის ცეცხლით ცელავს ფაშისტებს.

უცებ ტანკი ძლიერმა დარტყმამ შეაზანზარა, მტრის ყუმბარამ ჯავშანი გაუხვრიტა და ცეცხლი გაუჩინა.

— ამხანაგო მეთაურო, ბიჭებო, ამოხტით ტანკიდან! — დაიყვირა ამირანმა.

— დანელია! ტანკს უშველე, დავალება შეასრულე! — მილეული ხმით ძლივს გასაგონად უბრძანა ზაბაგამ.

ამირანი მასთან მიიჭრა. იგი სისხლისაგან იცლებოდა. მხრებში სწვდა. ვერ ასწია.

— ბიჭებო, მიშველეთ! — იყვირა.

ხმა არავინ გასცა. ტანკში ადამიანის ხმა არ ისმოდა.

— დანელია, ტანკს უშველე, — ჩაიჩურჩულა ზაბაგამ და თავი ჩამოუვარდა.

ალი ძლიერდებოდა. ამირანმა ქურქი გაიხადა და ხანძარს ეცა.

შორიახლო გერმანელები აყაყანდნენ.

— სდავაისია, რუს!

— ვერ მოგართვით, ძაღლიშვილებო! — დასჭყივლა სერჟანტმა და ტყვიამფრქვევი გამართა. მერე ისევ ხანძარს ეკვეთა, ოფლში გაწურული, დაღლას არ გრძნობდა. რა დროს დაღლაა, ხანძარი რომ გაძლიერდეს, ტანკში მოთავსებული ჭურვები. და ტყვიები აფეთქდება და მაშინ ყველაფერი დაიღუპება.

ტანკიდან სროლა რომ შეწყდა, გერმანელებმა იფიქრეს ტანკში ცოცხალი აღარავინ არისო, წამოდგნენ და სირბილით წამოვიდნენ ტანკისკენ.

ამირანმა ტანკიდან ტყვიამფრქვევი ამოათრია და ღია პოზიციიდან დაუწყო სროლა ფაშისტებს. გრძელი ჯერებით მოცელა მტრის წინა რიგები, სხვებმა პირი იბრუნეს, თავს უშველეს.

ამირანი ისევ ტანკს მიუბრუნდა და ხანძრის ჩაქრობა განაგრძო. ქურქი ცეცხლმოდებულ ადგილს დააფარა.

როგორც იქნა, ხანძარი ჩააქრო.

მერე ზაბაგას ეცა. იგი ტანკში დამწვარიყო. ფრთხილად მოჰკიდა ხელი, ლუკი გახსნა და მეგობრის ნეშტი დაბლა ჩაუშვა.

აკაკი შანიძე

ქართული ენათმეცნიერების პრაქტიკული საკითხები

1. ჯართი თუ ნამსხვრევი?

ხშირად ხდება ხოლმე, რომ საკუთარი სიტყვის ნაცვლად სხვისას ვხმარობთ, თუმცა საამისოდ არავითარი აუცილებლობა არ არის. აბა უცნაური როგორ არ არის, რომ ქართული **სარკმელი** მიგვიტოვებია და სპარსულ **ფანჯარას** ვხმარობთ? ან ქართული **ცალი** დაგვივიწყებია და რუსულის გზით შემოსულ ლათინურ **ეგზემპლარს** ვხმარობთ. და ბევრი სხვა ამის მსგავსი. მეტისმეტი პურისტობა არ ვარგა, მაგრამ არც ის ვარგა, რომ ენა აივსოს უცხო სიტყვებით და სათანადო ქართული დავიწყებას მიეცეს.

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის ქართულში (უფრო ზედმიწევნით რომ ვთქვათ, ქართულ ტექნიკურ ლიტერატურაში) ფეხი მოიკიდა **ჯართმა,** რომელიც „ნამსხვრევის" მნიშვნელობით იხმარება. ეს სიტყვა არ იცის არც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონმა, არც ჩუბინაშვილებისამ, არც რ. მეკელაინისამ (1928). სხვათა შორის, დ. ჩუბინაშვილი რუს. ЛОМ-ს ასე თარგმნის: ნამტვრევი, ნამსხვრევი. როდის გაჩნდა პირველად **ჯართი** ქართულ ლექსიკონში, ამჟამად ვერ გეტყვით, მაგრამ ტექნიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონში, რომლის რუსულ-ქართული ნაწილი 1957 წელს გამოვიდა, იგი უკვე მოყვანილია რუს. ЛОМ-ის შესატყვისად.

ჯართი სომხური სიტყვაა და ალბათ თბილისელ სომეხთა მეტყველებიდან არის შემოსული ქართულში. **ჯართელ** სომხურად დამსხვრევას ნიშნავს (იწერება **ჯარდელ,** გამოითქმის **ჯართელ), ჯართ** კი — ნამსხვრევს (იწერება **ჯარდ,** გამოითქმის **ჯართ).**

გვაქვს სხვა სიტყვებიც, რომლებიც **ნამსხვრევის** მსგავსად არის ნაწარმოები და მისი სინონიმებია: ნამტვრევი, ნალეწი, ნატეხი. ყველა მათ ტექნიკურ ენაზე შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობა მიეცეს, **ნამსხვრევი** კი (მრ. **ნამსხვრევები)** ЛОМ-ის ქართულ ფარდად გამოვიყენოთ.

2. დაზარალეგული თუ დაშავეგული?

ზარალი არაბული სიტყვაა და ქონების დანაკლისს აღნიშნავს, ე. ი. იმას, რასაც რუსული убыток, ущерб. ვთქვათ, ნათესში ხარი შევიდა და მოძოვა. ეს არის ზარალი, რომელიც ხარმა მიაყენა ნათესის პატრონს, რომელსაც უფლება აქვს, თუ ხარი სხვისი იყო, ანაზღაურება („წანახედი") მოსთხოვოს ხარის პატრონს. ვთქვათ, ცეცხლი გაუჩნდა ბეღელს და დაიწვა. ეს არის ზარალი, რომელიც ბეღლის პატრონს მოუვიდა. ან კიდევ ეს: ადიდებულმა მდინარემ წყლის პირას მდებარე ბაღის ნაწილი მოგლიჯა და წაიღო, ესეც ზარალია ბაღის პატრონისთვის.

ზარალ სიტყვისაგან ნაწარმოებია ზმნა **დაზარალება** და მისი მიმღეობა **დაზარალებული,** რომელთაც ხშირად ხმარობენ **დაშავება** და **დაშავებულის** ნაცვლად. აი ორიოდე მაგალითი გაზეთებიდან:

ა) „ზოფერმა ქ. ქველაძეს და ი. ნათბელაძეს მოსკვიჩი დააჯახა. **დაზარალებულები** საავადმყოფოში მოათავსეს".

ბ) ბუენოს-აირესში ჭადრაკის „მე-6 პარტიის გათამაშებისას დარბაზში გაზის კოჭები შეაგდეს. **დაზარალდა** მხოლოდ თარჯიმანი ქალი, რომელმაც ხელის დამწვრობა მიიღო"[1].

გ) „ვოლგა ქალს დაეჯახა, ზოფერმა **დაზარალებული** მანქანაში ჩაისვა და მოჰკურცხლა".

დ) „ხულიგანმა იძრო დანა და ჯერ ჯ. კაპანაძეს, შემდეგ კი რ. ირემაშვილს ჩაარტყა მუცლის არეში. საბედნიეროდ, ჭრილობები ღრმა არ აღმოჩნდა, ექიმის დახმარებით **დაზარალებულები** სრულიად გაჯანსაღებულები დაუბრუნდნენ სამუშაოს".

ყველა ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ქონებრივი დაზარალებაც არის, მაგრამ ასეთ მოქმედებას თავისი ზმნა და მიმღეობა აქვს: **დაშავება** და **დაშავებული: დაშავდა** თარჯიმანი ქალი, **დაშავებული** მანქანაში ჩაისვა და მისთანები.

[1] ამის ნაცვლად აჯობებდა ასე დაეწერათ: რომელსაც ხელი დაეწვა.

3. რენტაგელოგა თუ რენტაგლოგა?

უცხო სიტყვები რომ შემოდის ჩვენში, მათ თანდათან ქართული იერი ედება, ისინი ქართული ენის საერთო წესებს ემორჩილებიან. ერთი ასეთი წესია სიტყვის შეკუმშვა. მაგალითად: **შოფერი** რომ შემოვიდა ჩვენში[2], ეს ახალი სიტყვაც დაემორჩილა შეკუმშვის წესებს და ვამბობთ: შოფრობა ისწავლაო, შოფრის მოვალეობაო, შოფრები შეიკრიბნენო და სხვა. მაგრამ ჯერ კიდევ **რენტაბელობას** ამბობენ (ერთი საგაზეთო წერილის სათაურია: „სამეურნეო ანგარიში და რენტაბელობა"), მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს **მასწავლებლობა, მეზობლობა, პასუხისმგებლობა** და სხვა, რაც გვიკარნახებს, რომ უნდა ვთქვათ და ვწეროთ: **რენტაბლობა** და **რენტაბლური.** „ტრანსპორტაბელური" „ადვილად გადასაზიდი" არის, მაგრამ, თუ მაინცადამაინც უცხო სიტყვას ვიხმართ, **ტრანსპორტაბლური** უნდა ვთქვათ და ვწეროთ.

[2] **შოფრის** ნაცვლად სპარსელი ქართველები **შამწყრომს** ამბობენო.

* * *

რედაქციისაგან: ა. შანიძის წერილში „დამხედ" ქართლის მატიანეში", („დროშა", 1972, № 3, გვ. 9) ძეორე სვეტში, სტრ. 14, დაბეჭდილია „კავშირნს", უნდა: „კავშირს"; სტრ. 17. „უეჭველი არ უნდა იყოს", უნდა: „უეჭველი უნდა იყოს".

— სდავაისია, რუს! — გაისმა ისევ გერმანელების ხმა.

ამირანმა ოფლი მოიწმინდა, საჭეს ხელები ჩასჭიდა და ტანკი პირდაპირ მტრისკენ გააქანა. გერმანელები თავქუდმოგლეჯით გაიქცნენ. გამძვინვარებული ამირანი დაედევნა. მტრის განლაგებაში შეიჭრა, მოსპო ორივე ტანკი და გაანადგურა სამი მოიერიშე ქვეშები.

* * *

რადისტი ამაოდ ეძახდა ზაბაგას ეკიპაჟს. კავშირი დიდი ხნის წინათ გაწყდა.

ღელავდა ბატალიონის მეთაური კორობოვი. ადგილზე ვერ ჩერდებოდა, ბოლთას სცემდა.

— ნამდვილად დაიღუპნენ! — თქვა კორობოვმა. — ახალი სადაზვერვო ჯგუფი უნდა გაიგზავნოს, დავალება აუცილებლად უნდა შესრულდეს.

ტანკისტები ფეხზე წამოდგნენ. ყველა მზად იყო ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესასრულებლად.

უცებ მიწურში მორიგე შემოვარდა.

— ამხანაგო ბატალიონის მეთაურო, ტანკის ხმა მოისმის!

ყველანი გარეთ გაიჭრნენ.

„ნუთუ გერმანელები წამოვიდნენ შეტევაზე", — გაიფიქრა კორობოვმა.

— არც ერთი ნაბიჯი უკან! — გასცა ბრძანება კორობოვმა, — მოემზადეთ მტერთან საბრძოლველად.

წინ თოვლიანი გორაკი იყო. გორაკს გადაღმიდან ტანკის გუგუნი ისმოდა... გუგუნი თანდათან ახლოვდებოდა.

„ნუთუ ერთი ტანკით მოდიან", — დაეჭვდა კორობოვი.

ტანკმა ცხვირი ამოჭყო გორაკზე, მერე მთლიანად ამობობღდა და ბატალიონისაკენ დაიძრა...

ბატალიონმა ერთხმად შესძახა „ვაშა" და ტანკისკენ გაიჭრა.

ტანკს ცხვირზე ხუთქიმიანი ვარსკვლავი ეხატა.

— ყოჩაღ, ზაბაგა! — დაიძახა კორობოვმა.

ტანკიდან კი ტანმორჩილი, სუსტი და ფერმილეული ტანკისტი ამოცოცდა, თოვლზე ჩამოხტა, ტანისამოსი შეისწორა და ბატალიონის მეთაურისკენ გამოემართა.

— ამხანაგო ბატალიონის მეთაურო, პატაკს გაბარებს გვარდიის უფროსი სერჟანტი დანელია, საბრძოლო დავალება შესრულებულია. ეკიპაჟი დაიღუპა მტერთან უთანასწორო ბრძოლაში.

კორობოვმა სიტყვის თქმა არ აცალა, მივარდა, ხელში აიტაცა, გულში ჩაიკრა, და უცებ შენიშნა, რომ ტანკისტი მძიმედ იყო დაჭრილი.

ამირან დანელია უგონოდ დაეცა. ირგვლივ სანიტრები შემოეხვივნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ამირანმა თვალები გაახილა.

უეცრად ბატალიონის მეთაურის ხმა მოესმა:

—დანელია გაგზავნეთ ჰოსპიტალში, ტანკი კი ჩააბარეთ სარემონტო პუნქტს!

ამირან დანელიამ თავს ძალა დაატანა და ფეხზე წამოდგა:

— ამხანაგო მაიორო, ნება მომეცით ტანკი მე მივიყვანო ადგილზე.

კორობოვმა მხურვალედ ჩამოართვა ხელი.

— მიიყვანეთ!

...რამდენიმე ხნის შემდეგ ამირან დანელიას მკერდზე საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავი აკიაფდა.

ალექსანდრე ბარამიძე ტრიბუნაზე

ალექსანდრე ბარამიძე

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, აკად. ალექსანდრე ბარამიძეს დაბადების 70 წელი შეუსრულდა. ნახევარი საუკუნეა, რაც სახელოვანი მეცნიერი ერთგულად ემსახურება ქართველი ხალხის სულიერი კულტურის შესწავლისა და გამომზეურების საქმეს.

ალ. ბარამიძემ დიდი ღვაწლი და ამაგი დასდო ჩვენს კულტურას, მან ქართული ლიტერატურის ისტორიის არაერთ, მანამდე შეუსწავლელ საკითხს ნათელი მოჰფინა.

„დროშის“ რედაქცია მხურვალედ ულოცავს ღვაწლმოსილ მეცნიერს ამ საიუბილეო თარიღს და უსურვებს ახალ წარმატებებს ჩვენი ხალხის, ჩვენი კულტურის საკეთილდღეოდ.

სოფ. ჯუნჯუათი (ლანჩხუთის რაიონი), ბიბლიოთეკის გახსნაზე.

ხარკოვის ქუჩაზე. (ქართული ლიტერატურის დეკადა უკრაინაში, 1969 წ.).

უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების სხდომაზე.

წიწამური, ილია ჭავჭავაძის ობელისკთან.

პაპა და შვილიშვილი.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ფაუსტი

ფრაგმენტი

რაფაელი
მზე ნაზად გალობს კვლავ ძველებურად
სფეროთა შორის სიმღერით ტკბილით,
წინასწარ დათქმულ გზასა სრბოლისას,
ასრულებს იგი ჭექა-ქუხილით.
შეხედვა მისი ანგელოზთ ძალას
აძლევს მარადულ გუშაგებს ცისას,
ტურფა არიან შენაქმნნი შენნი,
ვითა პირველსა დღეს გაჩენისას.

გაბრიელი
სწრაფად და თვალის მიუტანებლად
რბის და ტრიალებს მიწის სიამე.
სამოთხისებურ სინათლეს მზისას
სცვლის და თან მოსდევს უტეხი ღამე.
ზღვა ბორგავს, როკავს ქაფმორეული,
ვეღარ ეტევა ნაპირთა რკალში,
და კლდე-ნაპირიც, ზღვაც შორეული
ირევა სფეროთ ორომტრიალში.

მიქაელი
ზღვიდან ხმელისკენ, ხმელიდან ზღვისკენ
შეჯიბრებულნი ნაკადნი ჰრბიან
და განუწყვეტელ უღელტეხილად
გასაოცარსა გავლენას ჰქმნიან.
ელავს უდაბნოს ცეცხლის მაგვარად
გზა სარბიელზე ცეცხლნაკადული,
შიკრიკთა შენთა მარად უქიათ,
შენ ტკბილთა დღეთა მწყობრი ფერხული.

სამივე ერთად
შეხედვით აძლევ ანგელოზთ ძალას,
ვერვინ ჩაგწვდება მეუფეს ცისას.
ტურფა არიან შენაქმნნი შენნი,
ვითა პირველსა დღეს გაჩენისას.

მეფისტოფელი
რადგან, უფალო, კიდევ ერთხელ მოგვიპატიჟეთ
და გვეკითხებით ავსა და კარგს ჩვენს მეუფებას,
თქვენ ხომ უწინაც სიხარულით შემოგვხვდებოდით,
ახლაც ვამშვენებ ამ შიკრიკთა უზადო კრებას.
(კიდევაც მასხრად რომ ამიგდოს კრებულმა სრულმა)
უკაცრავად ვარ, ბრტყელ სიტყვებს თუ არ ვარ ჩვეული,
ჩემი პათოსი შენ სიცილად არ გეყოფოდა,
დიდი ხნით სიცილს რომ არ იყო გადაჩვეული.
მე ვერ გიამბობ მზე და მიწა ვით ტრიალებენ,
მე ვხედავ მხოლოდ მიწის შვილნი თუ ვით წვალობენ.
პატარა ღმერთი სამყაროსი არ გამოცვლილა
საოცარია ვით გაჩენის პირველსავ დილას.
და მე მგონია უკეთესიც კი იქნებოდა,
მას ცის სინათლე თუნდ აროდეს მინიჭებოდა.
იგი გონებას ეძახის მას, გონების კვესი
მისთვის სპირდება, რათა შეიქმნეს
ყოველ პირუტყვზე უპირუტყვესი.
კაცი მაგონებს (თუ თქვენ დამრთავთ ამისა ნებას)
გრძელ ფეხებიან ფრთაფარფატა ჭრიჭინობელას,
მაღალ ბალახში რომ მიმოხტის მოუსვენარად;
და არამკითხეს მუდამ ჰფარავს ბალახი ხშირი,
ყოველ ნაგავში უნდა ჩაჰყოს უცილოდ ცხვირი.

უფალი
ნუთუ სათქმელი აღარა გაქვს ჩემთვის სხვაგვარი?
შენ მუდამ მზად გაქვს ჩემთვის არზა და საჩივარი.
ნუთუ ამდენ ხანს თავს ვერა გრძნობ უკეთ მიწაზე?

მეფისტოფელი
აქ მუდამ ცუდად ვგრძნობდი მე თავს, უფალო ჩვენო!
არ შემიძლია დღესაც ასე არ მოგახსენო.
კაცის ცხოვრება ძველებურად რბის უფერულად,
მე თვით არ ძალმიძს ის ვიწამო კვლავინდებურად.

უფალი
იცნობ შენ ფაუსტს?

მეფისტოფელი
დოქტორ ფაუსტს?

უფალი
დიახ, ჩემს მსახურს...

მეფისტოფელი
თავისებურად გიწევს იგი თქვენცა სამსახურს.
და ამ შლეგისა სულის საზრდო, გეტყვი, უფალო,
არის სავსებით ზეკაცური, ზეკვეყნიური.
ის სანახევროდ თვითვე თუ გრძნობს სიგიჟეს თვისას,
მას უცხო მხარეს მოუწოდებს ლტოლვა გიჟური.
ცისგან მოითხოვს ის უტურფესს ვარსკვლავთა წყებას
და მიწისაგან ყოველივე უაღრესს ვნებას.
ვერცა ქვესკნელი, ვერცა ზესკნელი
ვერ დაამშვიდებს მის გულის ნებას.

უფალი
თუ დასდგომია იგი მართლაც შეცდომის გზასა,
ნათელი ჩემი მას საცაა შუქს მიაყენებს,
იცის მებაღემ მომავალ წელთ ვით დაამშვენებს,
როცა ყვავილი გამოეხსნმით ბაღის ნამყენებს.

მეფისტო
სანაძლეოსა რას მიბრძანებთ, რომ გადვიბირო,
მსახური თქვენი დავაყენო შეცდომის გზაზე,
ნებას თუ მომცემთ ვარონინო ჩემსა ნებაზე.

უფალი
ვიდრემდის იგი სასუფეველს აღარ ეწევა,
შენ ყოველგვარი გამოცდისა ნება გეძლევა.
ცოცხალსა კაცსა შეცდომა სდევს, თუნდაც გოლიათს,
კაცთა შეცდომა ბუნებითვე თან დაჰყოლიათ.

მეფისტო
მადლობას ვწირავ თქვენს მეუფებას;
მკვდრებთან არასდროს არ ვცდილობდი გადაკიდებას.
მუდამ მიყვარდა ცოცხალ არსთა ძოწის ღაწვები.
ვიტყვი: შინ არ ვარ, თუ მეწვიენ ოდესმე მკვდრები.

უფალი
გეძლევა ნება სული იგი გზას ააცდინო.
შენ სარბიელზე შენს ნებაზე ის აარონინო.
შეგრცხვეს კი მაშინ შენმა ხერხმა თუკი გიმტყუნოს,
ამ მაგალითმა თუნდ ერთხელაც თუ დაგარწმუნოს,
თუნდ წყვდიადშიაც რომ დაიბნას ალალმართალი,
მან ბეშმარიტი არ დაჰკარგოს თვისი გზაკვალი.

მეფისტო
ვნახოთ თუ მალე გამარჯვების ნიშნი მოგიგოთ.
თუ მივაღწიე მე მიზანსა დღესვე განზრახულს,
ნუ გეწყინებათ, თუ გავმართავ ტრიუმფს არნახულს,
მტვერსა და მიწას თუ შევაჭმევ მიწაზე მავალს
ვით ჩემ ნათლიას სახელგანთქმულ გველს, ქვეწარმავალს.

უფალი
შენ შეგეძლება ძველებურად გამომეცხადო
შენი მოძმენი მე აროდეს არ მძულებია.
უარისმყოფელ სულთა შორის, შენც კარგად იცი,
ეშმაკისათვის მცირე რისხვა მირგუნებია.
კაცთ ენერგია ფრიად სწრაფად მოდუნდებოდა,
(მათ ძლიერ უყვართ განსვენება და მყუდრო ბინა)
მათ ნამოქმედარს ფხა აროდეს არ ექნებოდა,
მე რომ ეშმაკი თანამგზავრად არ მიმეჩინა.

(ანგელოზებისადმი ნათქვამი):
თქვენ კი, ნამდვილნო ზეცისა შვილნო,
იარეთ კვლავაც გარდუვალის სიტკბომშვენებით.
მომავლის საქმეს ესაძირკვლეთ ღვთიურის ნებით.
მარადულ ყოფამ აღიტაცოს აწც თქვენი გული,
და რაც მერყეევად მოკიაფე მოვლენად მოსჩანს,
მას განამტკიცებს ფიქრი თქვენი მარადყამული.

მეფისტო (მარტო, ცისაკენ ხელებაპყრობილი).
ამ ბებრის ნახვა მეც ხანდახან მომენატრება,
ვშიშობ კიდევაც რომ ვაგლახად არ დამეუბროს,
მოხაწონია, როს ძლიერი უფალი ცათა
ჩემებრ მწირ ეშმაკს კაცურ ენით გაესაუბროს.

თარგმნა კონსტანტინე გამსახურდიამ.
(მიუნხენი, 1915 წელი).

გაზაფხული

ფოტო მ. დათიკაშვილისა.



ნ ა ნ ა.



ავთანდილის სიმღერა.

ქალიშვილის პორტრეტი.



სოფელი დართლო.

ვლადიმერ კანდელაკი

შარშან გამომცემლობა „მერანის" თაოსნობით მოეწყო ვლადიმერ კანდელაკის ნაწარმოებთა პირველი პერსონალური გამოფენა. რომელმაც ნათლად უჩვენა ჩვენს მაყურებელს ახალგაზრდა მხატვრის მიერ გავლილი გზა. დაწყებული სამხატვრო სასწავლებლისა და აკადემიაში სწავლის დროინდელი ფერწერული თუ გრაფიკული ნაწარმოებებიდან სულ ბოლოდროინდელ ქმნილებებამდე.

ვლადიმერ ანდროს-ძე კანდელაკი დაიბადა თბილისში, 1943 წელს 1964 წელს, ჯერ ისევ სტუდენტობის წლებში, იგი მონაწილეობას იღებს სამხატვრო გალერეაში მოწყობილ „საგაზაფხულო გამოფენაზე", სადაც წარმოდგენილი იყო მისი ნამუშევრები: „სახურავები", „ქურთები", „ნატურმორტი". 1969 წელს ვლ. კანდელაკმა დაამთავრა სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი (პროფ. კ. ქუთათელაძის კლასი) სადიპლომო ნამუშევრით „მოსავლის ზეიმი".

პეიზაჟებისათვის ხედვის წერტილის მარჯვედ შერჩევის; მათი უჩვეულო რაკურსებში დანახვისა და მხატვრულად ალქმის უნარი. სწრაფვა მონუმენტური ფერწერისაკენ, ფერთა რბილი გადასვლები. ნახატის გრაფიკული სიმკვეთრე და. რაც მთავარია, თანამედროვეობისა და სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული მრავალსიუჟეტური პანორამა-კომპოზიციები — აი. რა ახასიათებს ვლ. კანდელაკის შემოქმედებას.

აქ ვაქვეყნებთ მისი ნაწარმოებების რამდენიმე რეპროდუქციას.

მოსავლის დღესასწაული

შოთა რუსთაველი.

ხევსურეთი.



ბესიკის საფლავის ქვა

მე-18 საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტის ბესარიონ გაბაშვილის საფლავის ქვის ეს ფოტოსურათი რედაქციას გადმოსცა ცნობილმა ჟურნალისტმა ანტონ კელენჯერიძემ, რომელმაც იგი რუმინეთიდან, ქ. იასიდან ჩამოიტანა.

უფრო ადრე ამ საფლავის ქვაზე მკითხველს .პირველი ცნობები მიაწოდეს აკადემიკოსებმა ნიკო ბერძენიშვილმა და გიორგი ლეონიძემ.

საფლავის ქვაზე, ქართული წარწერის თავზე გაკეთებულია ბერძნული წარწერა. მისი თარგმანი მოგვყავს ვ. მაჭარაძის წიგნიდან „ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე".

„თითქოს სამარიდან თქმული.

მფარავ კაცს არა უბრალოს (ჩვეულებრივს) და ქვასთან შეუთავსებელს. გვარტომობით იბერიელს და წარმოშობით წარჩინებულს. კაშკაშა ვარსკვლავის (სადარს) ზაქარიას ძე ბესარიონს. უღირსეულესს ბუნებით, ელჩობით წარმოგზავნილს კოლხეთიდან მეფის კარზე. მაშინ მიუზღო ვალი უფალს სახელოვანმა, რომელმაც იცოცხლა აღსასრულამდე ორმოცი წელი. ...აღესრულა ღვთის შობიდან 1791 წ. იანვრის 24".

საფლავის ქვა დაცულია ქ. იასის ლაპიდარიუმში.

ნოდარ შამანაძე

ვიცოდი, რომ მოხვიდოდი...

მოთხრობა

მხატვარი დ. ერისთავი

ძმაო ვანო! გახსოვს მატარებლით ერთად რომ ვიმგზავრეთ? საუბარი სიყვარულზე ჩამოვარდა. შენ აგდებულად ჩაიქნიე ხელი, წმინდა სიყვარული არ არსებობს, ქალის გული მარტის დღესავით ცვალებადიაო. შიოც ქირქილით აგყვა: ქალს ქმარი რომ მოუკვდება, ვაიმე და სხვაიმეო. სხვებმაც ბანი მოგცეს. მხოლოდ მე გავდექი განზე და თქვენი აზრის თუ უაზრობის გასაბათილებლად თოთოშა წიგნაძის ამბავი წამოვიწყე. თქვენ პირზე სიტყვა შემატეხეთ, აქილიკდით, ახითხითდით, მერე ცოტა არ იყოს, მეც გავბრაზდი და სათქმელს თავი ვეღარ მოვაბი.

ახლა ვზივარ და გწერ თოთოშას ამბავს. თუ რამემ დაგაეჭვოს, მოდი და იკითხე, ჩემს ქუჩაზე ყველამ იცის თოთოშა...

ის იყო ვახშმად დავსხედით, ქუჩიდან ჯერ შეკივლება შემოგვესმა, შემდეგ რაღაც არაადამიანური ღმუილიც გავიგონეთ. პირში ლუკმა შეგვაცივდა, წამოვიშალეთ და ყველანი გარეთ გავცვივდით. დედაჩემი მომიბრუნდა ქუჩაში და გაჯავრებით დამიცაცხანა: შედი შინ, სუფრას მიხედე, აქ შენ არა გესაქმება რაო.

შინ როგორ შევიდოდი!

ხმაურმა და ჩოჩქოლმა თოთოშას ბინაში მიგვიყვანა. საბრალო ქალი ცეცხლმოკიდებულივით ბორგავდა, წრიალებდა, თავში ხელებს იცემდა, კუნაპეტივით შავი თმები ბუწუწებად ძირს ჩამოჰქონდა. მის ფეხებთან ერთი ხელისდადება თეთრი ქაღალდი ეგდო...

სულ მალე ბლომად მოიყარა ხალხმა თავი. თვალი ყველას ქაღალდისაკენ გაურბოდა, მაგრამ თითქოს ეშინიათო, ხელს არავინ აკარებდა. ბოლოს ერთი ჯმუხა კაცი დაიხარა, ქაღალდი აიღო, კარგახანს წარბშეჭმუხნული ჩასცქეროდა, მერე თავი გადაიქნია და მძიმედ ჩაილაპარაკა:

— საწყალო ფრიდონა!..

დეპეშა უკვე ხელიდან ხელში გადადიოდა.

— აფსუს, რა კაცი დაიღუპა!

— რანაირად დაიღუპაო?

— ვინ იცის!..

— მთათუშეთში მივალ, გეოლოგების დიდი ჯგუფი მიმყავსო, ამას წინათ მითხრა...

— ნწუ, ნწუ!

— ჰაი დედასა, რა ბიჭი!

თოთოშა ხალხს არ უსმენდა, ისევ მოთქვამდა და იმდუღრეებოდა.

— ჭირს გამაგრება უნდა, შვილო. ასე თავსაც მოიკლავ და დაღუპულ საქმესაც ვერაფერს უშველი, — შებედა ერთმა ხნიერმა ქალმა.

— თავი რაღა ოხრად მინდა, მე უბედურს! — გაიფოფრა თოთოშა და ხელები კიდევ მეტი ძალით წაიშინა.

მეორე დღიდან სულ გამოიცვალა თოთოშა. თითქოს ტირილის რცხვენიაო, იჯდა წყნარად, თვალზე ცრემლი ვეღარ დავუნახეთ.

— თავს ინახავს. ცხედარს რომ ჩამოასვენებენ, ტირილი მაშინ უფრო დაშვენდება... — უთხრა ბებიამ დედას.

ცხედარი ჩამოასვენეს. თოთოშა გულზე ხელებდადუმებულ მეუღლეს ისე მშვიდად შეხვდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ერთიც არ წამოუტირია.

ხალხი აჩურჩულდა:

— მოტირლები ტირიან, ჭირისუფალი კი სეირს უყურებს!

— ერთი ცრემლი მაინც გადმოაგდოს წამლად, რამ გააქვავა ეს შეჩვენებული!

— ცრემლი უკვე გადმოაგდო ერთხელ და... მორჩა!

— როდის?

— დეპეშა რომ მიიღო.

— რატომ ადრე არ მივიღეო... ჰი, ჰი, ჰი!

— ღმერთო, ნუ მიწყენ და შავები როგორ უხდება, შავი ანგელოზია პირდაპირ!

— ვინც მოკვდა, თავსა მოუკვდა... თვარა, მაგას რა უჭირს!

— უკვე ეყოლება შეთვალული...

— ვითომ არის ისეთი?

— მათხოვე ყური ცოტახანს: თურმე ფრიდონის სიცოცხლეშიც... აბა!

— უყურე, შენ!

მითქმა-მოთქმამ ფრიდონის დასაფლავების შემდეგ კიდევ უფრო იმატა. თოთოშა ყოველ დილით დაკეტავდა ოთახის კარს, ხელში ორიოდე მიხაკს დაიჭერდა და გაუყვებოდა ქუჩას თავდახრილი. შინ მხოლოდ შებინდებისას ბრუნდებოდა.

— სად გაგონილა მგლოვიარე ქალის ასე ყიალი!

— შინ ვის მიაჩერდეს, შვილი არა ჰყავს და ძირი!

— აბა, დადგეს და იხეტიალოს ალქაჯივით!

— რა ქნას, სასაფლაოზე დადის, გულს აყოლებს!

— სასაფლაოზე სიარული ყოველდღე არ გამიგონია მე!

— როგორ, ვითომ სხვაგან დადის?..

— რა ვიცი, იქნებ ასეც იყოს... ხი, ხი, ხი!

— მაგის გაგებას რა უნდა!.. მივყვეთ შორიახლოს და...

მიჰყვნენ ერთხელ, მეორედ, მესამედ...

ერთ საღამოს თოთოშა ბებიაჩემთან მოვიდა, ცალკე ოთახში გაიხმო და კარგახანს ეჩურჩულა.

— რა მინდაო მაგ საცოდავმა?!. — ჰკითხა დედამ ბებიას, თოთოშა რომ წავიდა.

— შენ რომ შარშან ნაწნავები შეიჭერი, ხომ არ გადაგიგდიაო?

— რაო! — ყურს არ დაუჯერა დედამ. ბებიამ გაუმეორა.

— რაში მჭირდებაო? — გაიკვირვა დედამ.

— სასაფლაოზე რო ვზივარ ხოლმე, ვიღაც მუდრეგები ურცხვი თვალით მიყურებენო. დედაბერივით რომ ჩავიცვამ, ჯოხს დავიბჯენ და შენს თეთრ ნაწნავებს გავიკეთებ, გამშორდებიან, აბა, რაღა ჯანაბა ენდომებათო.

— არ ათხოვე? — ჰკითხა დედამ.

—იმე! ნაწნავებს დავუკავებდი? — უპასუხა ბებიამ და მერე თავი გაჯავრებით გადაიქნია: — თფუ, როგორ გაფუჭდნენ! წინათ ჭირისუფალ ქალს ყველა მოკრძალებით ხვდებოდა, გზას უთმობდნენ; სანამ შავებს არ გაიხდიდა, სხვანაირად ვინ შეხედავდა! ახლა კი...

მეორე დღეს ახლო მეზობლებმაც კი ვეღარ იცნეს თოთოშა. თეთრი ნაწნავები მხრებზე გადაეგდო, სახე შეებუდნა, ჯოხი დაებჯინა, წელში მოხრილიყო და მიხრწნილი დედაბერივით ნელა-ნელა მილასლასებდა. სამ დღეს ასე მიდიმოდიოდა სასაფლაოზე, მეოთხე დილას კი უთენია მოაკითხა ბებიას და ნაწნავები მოუტანა.

— არ გამოგადგა? — ჰკითხა ბებიამ.

— გამოდგომით კი გამომადგა, კაცს აღარ გამოუხედავს იქით, მარა... — თოთოშას ენა შეებორკა, ჩანდა, რაღაცის თქმა ეუხერხულებოდა, თუმცა უთქმელობაც უმძიმდა. წუთით დუმილი ჩამოვარდა.

— ვისი გერიდება, შვილო, თქვი რა გაწუხებს, — უთხრა ბებიამ და მხარზე ხელი მოუთათუნა.

— ფრიდონმა დამიწუნა... — გამოსცრა კბილებში თოთოშამ. დედამ და ბებიამ გაოცებით გადახედეს ერთმანეთს. თოთოშამ თავი დახარა და დარცხვენილივით ჩაილაპარაკა: ასე აღარ მოხვიდე, თორემო...

ბებიამ პირჯვარი გადაიწერა. დედაჩემმა კი გაკვირვება არ შეიმჩნია და სერიოზულად ჰკითხა:

— აბა, როგორ მოდიო?

— როგორც დაგტოვეო...

— შავებსაც ნუ ჩაიცვამო? — აღარ ეშვებოდა დედა.

— შავები გიხდებაო... — თოთოშა გაჩუმდა, ყელში მობჯენილი ცრემლები გადაყლაპა და განაგრძო: — მაგრამ ბებრულად ჩაცმული აღარ გნახო, თორემ რაც არ უნდა იტირო და ითავცემო, მაინც აღარ გამოგიჩნდებიო...

წასვლისას თოთოშამ მე გადმომხედა და მერე დედას სთხოვა: ეს ბიჭი გამაყოლეთ სასაფლაოზე ხანდახან, იფიქრებენ შვილი ჰყოლიაო, მოერიდებათ და აღარ შემაწუხებენო.

მეორე დღესვე გამაყოლეს. სასაფლაოზე რომ შევედით, თოთოშამ ფეხს მოუჩქარა, ძლივსღა ვეწეოდი სირბილით. ერთ საფლავთან შეჩერდა, ქვაზე ჩამოჯდა და მიხაკები ისე დაიჭირა ხელში, თითქოს ეს-ეს არის ვიღაცას უნდა მიართვასო. წამდაუწუმ საათს დასჩერებოდა და სახე ნერვიულად უთრთოდა. თითქოს გვიანღა გავახსენდიო, უცებ მომიბრუნდა და მითხრა, წადი გაითამაშგამოითამაშე, ხევისკენ ჩიტის ბუდეები ეძიე, მე თვითონ დაგიძახებ, როცა დამჭირდებიო. გავიქეცი, მაგრამ სულ მალე შემოვბრუნდი, ცნობისმოყვარეობამ წამძლია. ბუჩქებს ამოვეფარე, ფრიდონის საფლავს მუცელზე ხოხვით მივუახლოვდი. თოთოშა კვლავაც საათს დაჰყურებდა.

— ესეც თორმეტი! — შესძახა უეცრად და წამოდგა: — უკვე თორმეტია, გამოდი, ფრიდონ! ჰე, მალე, თვალებს რომ გავახელ, ჩემს წინ უნდა იდგე, იცოდე!

თოთოშამ თვალები დახუჭა, ერთხანს გარინდებული იდგა, მერე ვითომ ფეხის ხმა მოესმო, თავი შეარხია, თვალები ნელა-ნელა გაახილა და... სიხარულით სახე გაებადრა.

— ვიცოდი, რომ მოხვიდოდი, ფრიდონ! — თქვა სიცილით და თითქოს მართლაც ქმარს ეალერსებაო, ჰაერში ორივე ხელი ააფოთარა. მიხაკები საფლავზე მიმოიფანტა. თოთოშამ მიხაკებს ყურადღება არ მიაქცია, ერთხანს გაყუჩებული იყო, მერე ქვაზე დაჯდა და ხელები ისევ აამოძრავა.

— ახლა ხომ მოგწონვარ! — მძიმედ ამოილაპარაკა, — ბებრულად აღარ მაცვია. რა მითხარი? არავინაც არ მაწუხებს.

თოთოშა უკვე მარტო ხელებს კი აღარ ამოძრავებდა, თავსაც აკანტურებდა.

თმები უალუზე დამიდგა, მეტის ყურება ვეღარ შევძელი და გავიქეცი. მთავარ ქუჩას როგორ მივაღწიე, ვერ გავიგე. ის იყო, შინ დავაპირე გაპარვა, ჩემს წინ „ვოლგა“ გაჩერდა, ერთი კარგად ჩაცმული კაცი გადმოვიდა და სასაფლაოს გზას ნელი ნაბიჯით გაჰყვა. გულმა მიაზრა და უკან ავედევნე. უცნობი თოთოშას ახლოს შეჩერდა და დაჟინებით დაუწყო ყურება. სულ მალე თოთოშას ხმაც მომესმა: მოდი, შვილო, არაფერი იტკინო, მამაშენის ფეხზე შენღა მოგჩერებივარო, — დამიძახა ალერსიანი ხმით. მივედი, თოთოშამ გულში ჩამიხუტა და დედასავით მომეფერა. უცნობი ბევრს ეცადა გამოლაპარაკებას, მაგრამ თოთოშამ არც მიხედა.

* * *

ქმარს წლისთავი რომ გადაუხადა, თოთოშა ხალხში გავიდ-გამოვიდა, სულ ცოტა ხანიც და... მუშაობა დაიწყო...

— ეგ არის, დამთავრდა ფრიდონის საქმე!

— შენი მტერი არ არის, თოთოშამ მიხაკები აღარ იყიდოს!

— არ კმარა, რაც იყიდა? სასაფლაოზე მთელი წელიწადი იარა, ერთი დღეც არ გამოუტოვებია... მიჰქონდა და მიჰქონდა წითლად მობრიალე მიხაკები. მერე ცოტა მაინც ღირდეს, მამასისხლად ყიდიან!

— ახლა ყვავილებს თვითონ მაგას მოუტანენ!

— ვინ მამაძაღლი დაინანებს!

მეზობლების ჩურჩული მხოლოდ ხუთიოდე დღეს გაგრძელდა. კვირას ისევ დაინახეს თოთოშა მიხაკებით ხელში, ძველებურად თავდახრილი და ჩაფიქრებული სასაფლაოს გზას რომ გაუყვა...

ერთხელ დედაჩემმა თვალი გააყოლა სამსახურში მიმავალ თოთოშას და მერე ბებიას ნაღვლიანად უთხრა:

— რაც მუშაობა დაიწყო, ერთი ხელის დაკვრით გამოიცვალა, უფრო გულჩათხრობილი და სევდიანი გახდა!..

— მეც ეგ მინდოდა მეთქვა! — გვერდით ისე ჩაგივლის, არც შემოგხედავს. მერედა როგორი სალმიანი იყო... — უპასუხა ბებიამ და შემდეგ მე მომიბრუნდა: — აღარც შენ გეძახის, ხომ, ბიჭო?

— არა! — მივუგე დანანებით.

თოთოშას ჩვენი ქუჩის ბავშვებში თვალით ამორჩეული ვყავდი. სასაფლაოზე წაყოლის შემდეგ კიდევ უფრო შევუყვარდი. დღე არ გავიდოდა, რომ არ დაეძახნა. ყოველთვის ტკბილეულით მიმასპინძლდებოდა. ბოლო დღეებში კი ყური ტყუილად მჭონდა იქით, ერთხელაც აღარ გავხსენებივარ. მიზეზიც მალე გაირკვა...

ერთ კვირა ღამეს უეცრად გვესტუმრა თოთოშა. თვალებაფოფინებული იყო, სახე უცინოდა, დღეს ბედნიერი დღე გამითენდა, ფრიდონი ისევ შემხვდაო, თქვა აღელვებით და სკამზე დაჯდა. ერთხანს პირმღიმარე იყურებოდა, თითქოს ამოწმებს, ჩემმა ნათქვამმა რა შთაბეჭდილება მოახდინაო. დედამ და ბებიამ რომ არაფერი უთხრეს, ისევ თვითონ წამოიწყო:

— ერთხელ მივედი, არ გამოჩნდა, მეორედ მივედი, არ გამოჩნდა, მესამედ მივედი და კიდევ არ გამოჩნდა. გადავირიე პირდაპირ, კინაღამ გული გამისკდა. მივედი-ვარ დღეს და ვფიქრობ: თუ ახლაც არ გამოჩნდება, თავს აღარ ვიცოცხლებ-მეთქი...

თოთოშა გაჩუმდა და წარბები რაღაც მოუსვენრად აათამაშა.

— მერე? — წასცდა ბებიას.

— გამოჩნდა, — წყნარად თქვა თოთოშამ და კიდევ გაიცინა.

— რატომ არ ვჩნდებოდიო? — ისე ჰკითხა დედამ, თითქოს ყველაფერი სჯეროდა.

— თურმე გამნაწყენებია, ყოველდღე რომ ვეღარ მივდიოდი, — თოთოშამ ღრმად ამოიოხრა: — განა მე არ მინდა ყოველდღე მისვლა! მაგრამ რა ვქნა, თუ არ ვიმუშავე, ვინ მარჩენს? მათხოვრობას ხომ არ დავიწყებ?..

* * *

გადიოდა დღეები, გადიოდა თვეები... თოთოშა სამსახურიდან ზუსტად ერთდაიგივე დროზე ბრუნდებოდა. მეზობლებს არ ეკარებოდა, მხოლოდ ჩვენ შემოგვივლიდა ხანდახან. კვირა დღის მოახლოვება თვალდათვალ ეტყობოდა, გულგახსნილი და ხალისიანი ხდებოდა. კვირას ზუსტად თერთმეტ საათზე გამოდიოდა შინიდან, ხელში წითელი მიხაკები ყოველთვის ეჭირა.

ქალაქს პაპანაქება სიცხეებში არ ტოვებდა. მისთვის არც შვებულება იყო და არც დასვენება, ქალაქგარეთ გასული არავის უნახავს. ნათესავებმაც თანდათან ფეხი ამოიკვეთეს, აღარავინ აკითხავდა. დედამ ერთხელ სიტყვა ჩამოუგდო ნათესავებზე. თოთოშამ წარბები შეჰყარა და ზიზღით ჩაილაპარაკა:

— ნუ მიხსენებთ, თუ ქალი ხარ!

— რატომ? — ჰკითხა დედამ.

— ცუდ გზაზე მიბიძგებენ... — თოთოშას გული ამოუჯდა. კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ენა ვეღარ მოაბრუნა.

— ქმრის ნათესავები? — ჩაეძია დედა.

— ისინი უარესები არიან... — ცრემლები წასკდა თოთოშას და როდისროდის ამოილუღლუღა: — რას მიჩერებიხარ ოთხ კედელსაო!..

დედამ შეატყო, თოთოშას ამ საკითხზე ლაპარაკი უჭირდა და საუბარი სხვა ლარზე გადაიტანა.

* * *

— თოთოშა თხოვდებაო! — მეხივით გავარდა ერთ დღეს ჩვენს ქუჩაზე. არ დავიჯერეთ.

— ჩემი თვალით დავინახე, ვიღაც ახალგაზრდა ორჯერ გამოაცილა შინიდან! — ირწმუნებოდა ერთი.

— მეც დავინახე! — გაიძახოდა მეორე.

— ჩუმჩუმად გამოაპარებს ხოლმე! — მხარს უბამდა მესამე.

— ჯერ ახალი საქმეა, რა ქნას, რცხვენია! — იცინოდა მეოთხე.

— მიწამ თქვა: საყვარელი მომაბარე და ორ დღეში დაგავიწყებო! — ფილოსოფოსობდა მეხუთე...

მე კი ატირებას ბევრი აღარა მიკლდა რა. რატომღაც თოთოშას გათხოვებაზე ლაპარაკს ვერ ვიტანდი. არც მჯეროდა... მაგრამ დედისა და ბებიას საუბარს მოვკარი ყური და ცოტა არ იყოს, მეც შევეშვდი.

— თოთოშასთან კიდევ მივიდა ის ახმახი, — უთხრა ბებიამ დედას.

— გუშინ ქუჩაშიც ერთად მოდიოდნენ. თოთოშამ დამინახა და პირი ამარიდა, — უპასუხა დედამ და მერე დანანებით დაუმატა: — მგონი, ამ კვირას სასაფლაოზეც არ გასულა!

— როგორ არ გასულა, მე დავინახე! — ვიყვირე აღელვებით, თუმცა კვირას თერთმეტ საათზე ისევ მეძინა და რას დავინახავდი.

— შენ ვინა გკითხავს, ბიჭო, მუდამ მოდარაჯებული რომ ხარ და ვერაფერს გამოგაპარებს კაცი! — გამიწყრა დედა.

სულ მალე პირში წყალი ჩაეგუბა ყველას. ის ახმახი ფრიდონის ბიძაშვილი აღმოჩნდა. ჯარში ყოფილა, ჩამოსულა და უმაღლესში შესვლა რომ განუზრახავს, თოთოშაც გახსენებია: იქნებ გამოცდებისათვის მომამზადოსო.

ეს იყო და ეს: ამის შემდეგ თოთოშაზე გადაბრუნებული სიტყვა აღარ თქმულა. წლები კი მიდის და მიდის...

ეპიკური ერთი ლირიკული

თ. კახიანი

1629 წლის იანვარში მოულოდნელად გარდაიცვალა სეფიანთა ირანის გამოჩენილი ხელმწიფე შაჰ-აბასი. მისი სიკვდილის შემდეგ, როგორც გადმოგვცემს ვახუშტი, ყიზილბაშებს შფოთი დაუწყიათ. „მაშინ ხოსრო-მირზამ შემოიკრიბნა ყულნი, გამოიყვანა შაჰ-სეფი და დასვა ყაენად და მოსრნა წინა-აღმდგომნი“.

ვახუშტის ამ ცნობას ერთხმად ადასტურებენ სხვა წყაროები, ქართულიცა და უცხოურიც.

გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ადამ ოლეარიუსი მოგვითხრობს:

მაზანდარანში ყოფნისას შაჰ-აბასი ავად გამხდარა. მკურნალობამ ვეღარ უშველა სასიკვდილოდ განწირულს და ძლევამოსილი ხელმწიფე მიხვდა, რომ მართლაც უძლეველი მტერი შემოჰპაროდა სასახლეში. მომაკვდავმა ანდერძი დატოვა: ტახტზე უნდა ასულიყო მისი შვილიშვილი საამ-მირზა.

ვარსკვლავთმრიცხველმა განაცხადა, ვარსკვლავები იმას მეტყველებენ, რომ საამ-მირზა მხოლოდ თვრამეტ თვეს იმეფებსო. შაჰ-აბასი ძლიერ შეწუხდა, მაგრამ ჯიუტად იდგა თავისაზე: რამდენსაც შეძლებს, იმდენი იმეფოს, თუნდაც სამი დღე იმეფოს, ოღონდ კი დაიდგას თავზე გვირგვინი, მამამისს რომ ეკუთვნოდაო.

შაჰ-აბასი, ეტყობა, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც განიცდიდა თავის ყველაზე შემაძრწუნებელ ბოროტმოქმედებას — ღვიძლი შვილის მკვლელობას. თხუთმეტიოდე წლის წინათ სამეფო კარის ხანს ხმას ვერ იღებდა, უმწეოდ უსმენდა შვილის დაკარგვით გამძვინვარებულ დედას და ბოლოს ცრემლმორეულმა თქვა: „რა ვქნა, მითხრეს, ღალატი განიზრახაო. ახლა აღარაფერი ეშველება ამ საქმეს. რაც მოსახდენი იყო, მოხდა“. იგი მწუხარებამ და სინანულმა შეიპყრო. თურმე ათი დღე ბნელში იჯდა, საშელ-სასმელს ვერ ეკარებოდა და ცრემლი არ შეშრობია თვალებში.

იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს ცნობით, შაჰ-აბასმა ბრძანება გასცა, რომ სეფი-მირზას შესახებ არავის არასოდეს არც ელაპარაკა, არც დაეწერა, არც ემღერა და არც ლექსები შეეთხზა, რათა არ განახლებულიყო მისი მწუხარება.

გამოხდა ხანი და თავის ბრმა იარაღზე იყარა ჯავრი. ახლა შენი შვილი მოჰკალო, უბრძანა ბებუთ-ბეგს. ისიც კვლავ უყოყმანოდ დაემორჩილა. შაჰ-აბასმა ნიშნის მოგებით განუცხადა: „უკვე გეცოდინება, რა განიცადა ჩემმა გულმა, როდესაც მომიკალ შვილი. თავი ინუგეშე იმით, რომ ერთ ბედქვეშ ვართ!“

ჩირის ფასი ჰქონდა ადამიანის სიცოცხლეს სეფიანთა საბრძანებელში. სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის სიტყვით, თუ შაჰ-აბასი უბრძანებდა ვინმეს საკუთარი შვილის მოკვლას, განაჩენი მაშინვე უნდა აღსრულებულიყო მსგავსად განგების ნებისა. თუ მამა მშობლიური გრძნობების გამო, დააყოვნებდა, ახლა შვილს უბრძანებდნენ მამის მოკვლას და თუ შვილიც შეყოყმანდებოდა, სხვა შაჰის გვარდია, შედგენილი ძირითადად ქართველი მხედრებისაგან. მათი თანხლებით ქართველმა ბატონიშვილმა სასახლეში შეიყვანა ჩვიდმეტი წლის საამ-მირზა და დიდებულთა წინაშე წაიკითხა განსვენებული ხელმწიფის ანდერძი. საამ-მირზას თავისი მამის კუთვნილ გვირგვინთან ერთად მამისავე სახელი (სეფი) უნდა მიეღო. ასე რომ, ტახტზე ავიდა შაჰ-სეფი.

პიეტრო ავიტაბილეს სიტყვით, ხოსრო სათავეში ედგა ქართულ ფრაქციას, ყველაზე ძლიერს ირანში და მან იოლად დასძლია მეორე პრეტენდენტის

...ეჭვი ჭოლრო ალეზოლიუვილისა

რამდენიმე დიდებულმა საიდუმლოდ მისწერა შაჰის უფროს ვაჟს სეფი-მირზას, მამაშენის გადმოგდება გვინდა, შენ უნდა აგიყვანოთ ტახტზეო. სეფიმ წერილი მამას მიართვა. შაჰ-აბასი კმაყოფილი დარჩა შვილის ერთგულებით, მაგრამ გულში ეჭვი ჩაებუდა და აღარ მოასვენა. ღამღამობით სამჯერ იცვლიდა საწოლს ღალატის მოლოდინში. ბოლოს დაასკვნა, რომ მხოლოდ უფლისწულის სიკვდილი გაუქრობდა ეჭვსა და შიშს. შაჰის სულში გაჩენილ ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი-ღა აკლდა, როდესაც ენა მიუტანეს, სეფი-მირზა ხანებთან ერთად შეთქმულებას ამზადებს ტახტის ხელში ჩასაგდებადო.

შაჰ-აბასმა სასწრაფოდ დაიბარა თავისი სახელგანთქმული სარდალი ყარჩიღა-ხანი და უფლისწულის მოკვლა დაავალა. ყარჩიღა-ხანმა ხმალი შემოიხსნა, ფეხქვეშ ჩაუვარდა მბრძანებელს და მოახსენა, მირჩევნია თავი წავაგო, ვიდრე შაჰის ვაჟზე აღვმართო ხელიო. მაშინ შაჰ-აბასმა იხმო ვინმე ბებუთ-ბეგი, რომელიც უყოყმანოდ დაემორჩილა „ალაჰის ჩრდილის“ გაუგონარ ბრძანებას და განგმირა მისი პირმშო.

ვერაგულად მოკლულ სეფი-მირზას დედა ქართველი ჰყოლია. იგი თავისი გონიერების გამო შაჰ-აბასის განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობდა (ეს ქალი უნდა იყოს თამარ ამილახორი, რომელიც ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, „შაჰ-აბას ყაენს ცოლათ ჰყვანდა და ნამეტნავად უყვარდა“). შვილის სიკვდილი რომ შეიტყო, თმაგაშლილი და აკივლებული მივარდა შაჰს. აღარაფერი ახსოვდა გაოგნებულს, აღარაფრის ეშინოდა, თურმე გაარტყა კიდეც მრისხანე მეუღლეს და ასე მიმართა: „სისხლისმსმელო, რატომ მოჰკალი საკუთარი სისხლხორცი, ახლა ვიღა იმეფებს შენს შემდეგ, რატომ განწირე შენი ქვეყანა, რა დაგიშავა ჩემმა შვილმა, რომელსაც ასე ძალიან უყვარდი“?

თავისი ავკაცობით თავზარდაცემული შაჰი ერთაუგებდა წესს მამასაც და შვილსაც. ასეთი თავზარდამცემი სისასტიკის (თუ სადიზმის?) შედეგად ვეღარავინ ბედავდა, თუნდაც ერთი წამით შეეფერხებინა შაჰ-აბასის განაჩენი, ისევე გარდუვალი, როგორც ბედისწერა.

ხელმწიფის უზომო ეჭვიანობას კიდევ ორი უფლისწული შეეწირა. მათ თვალები დათხარეს. სამაგიეროდ თავს ევლებოდა ტრაგიკულად დაღუპული უფლისწულის ვაჟს, საამ-მირზას. შაჰ-აბასის სიკვდილამდე ათი წლით ადრე დელა ვალე წერდა: შაჰს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ მისი მემკვიდრე იქნება საამ-მირზა. ასე ღამობდა ჩადენილი ცოდვის გამოსყიდვას და თანაც იმედოვნებდა, ჯერ ხომ ვერ შემეცილება მეფობასო. საამ-მირზა შვიდი წლის ბავშვი იყო მაშინ...

მაგრამ მომაკვდავმა შაჰ-აბასმა იცოდა, რომ გვირგვინს სხვა პრეტენდენტიც ჰყავდა, ასევე მისი შვილიშვილი, ვაჟი ისა-ხან ყორჩიბაშისა. ისიც იცოდა, რომ მარტო ანდერძი ვერ გასჭრიდა, გარდაცვლილი ხელმწიფე ვეღარ დააშინებდა ყიზილბაშებს. ანდერძს ხმალი უნდა ამოსდგომოდა მხარში.

არქანჯელო ლამბერტის ცნობით, შაჰ-აბასმა თავისი ანდერძის განხორციელება მიანდო ხოსრო-მირზას, ირანის ქართველ ყულარაღასს.

ხოსროს პაპა იყო ქართლის სახელოვანი მეფე ლუარსაბ პირველი, მამა — დავითი, ავტორი ქართული საქაქმო წიგნისა („იადიგარ-დაუდი“), დედა— წავკისელი გლეხის ქალი. ირანში აღზრდილის ქართველი ბატონიშვილის დაწინაურებას სეფიანთა სამეფო კარზე ხელი შეუწყო გიორგი საკაძემ. ხოსრო-მირზა დანიშნულ იქნა ისპაანის ტარუღად. წლების მანძილზე უნარიანად უძღვებოდა უზარმაზარი ქალაქის მმართველობას, ომებშიც გამოიჩინა თავი და ბოლოს ყულარაღასობა უბოძეს.

ახლა მას ემორჩილებოდა სეფიანთა სამხედრო ძალების საუკეთესო ნაწილი — ყულის ჯარი ანუ მომხრე ყიზილბაშთა გარკვეული წინააღმდეგობა. ისპაანის ერთ ციხეში გამაგრებულმა ისა-ხან ყორჩიბაშმა მოასწრო კიდეც თავისი ვაჟის შაჰად დალოცვა, მაგრამ ციხე უკვე ალყაშემორტყმული იყო და ყორჩიბაში მიხვდა, რომ ვერ გაუმკლავდებოდა ყულარაღასს. სისხლისმღვრელ შეტაკებას მოერიდა და უზენაეს მბრძანებლად აღიარა შაჰ-სეფი.

სეფიანთა დინასტიის ახალი შაჰი ტახტზე აიყვანა ქართლის ბაგრატიონთა შთამომავალმა და ქართლის მომავალმა მეფემ, ქართველი მხედრების მხარდაჭერით. ეტყობა, უყვარს ისტორიას ასეთი პარადოქსები!

შაჰ-სეფის არ დავიწყებია არც ხოსრო-მირზას ერთგულება და არც ისა-ხან ყორჩიბაშის პატივმოყვარე წადილი.

იმავე წლის ზაფხულში ისა-ხანმა ბრწყინვალე ნადიმი გამართა ქალაქგარეთ. თითქმის მთელი სამეფო კარი იყო მიწვეული სტუმრად. ბევრი ღვინის სმამ ენა გაუხსნა ერთ კარისკაცს (სახელი არაა აღნიშნული წყაროში). მან ხოტბა შეასხა ყორჩიბაშს ასეთი ლხინის გადახდისათვის, მერე მისი ვაჟის (ტახტის ყოფილი პრეტენდენტის) მეფური შესახედაობა შეაქო და ხმამაღლა წარმოთქვა: „ვაი ჩვენ, რომ ირანის ხელმწიფედ გამოვაცხადეთ ნამდვილი არარაობა. აი, ვინ იმსახურებდა გვირგვინს!“ და თითი გაიშვირა ყორჩიბაშის ვაჟისაკენ.

ყველაფერი მაშინვე მოახსენეს შაჰ-სეფის. მან მეორე დილით იხმო ენამჭევრი კარისკაცი და ალერსიანი საუბარი გაუბა. ჯერ ჰკითხა, იყავი თუ არა წუხანდელ ნადიმზეო. მერე ათქმევინა, თუ რამდენი სტუმარი ესწრებოდა, რა და რა საჭმელი იყო სუფრაზე, რამდენი ღვინო შეისკა — თანდათან უახლოვდებოდა მთავარს. რაზე საუბრობდითო, დაინტერესდა. ყურადღებით უსმენდა. ისევ და ისევ ეკითხებოდა დაჟინებით: „და კიდევ რ

სხვა?“ ბოლოს ხელები გაშალა კარისკაცმა, მეტი არაფერი მახსოვსო.

მაშინ შაჰ-სეფიმ ხმას აუწია: „თუ სხვა აღარაფერი გახსოვს, მე შეგახსენებ იმას, რაც შენ თქვი წუხელ და ახლა თავს იკატუნებ, ვითომდა არ გახსოვს. თურმე ნანობ ჩემთვის გაწეულ სამსახურს, ახლა კი მართლა ინანებ იმას, რაც ჩემს წინააღმდეგ წამოროშე.“ შაჰის სასჯელი სასტიკი იყო. ვინ დაუშლიდა, ანდა ხელს ვინ შეუშლიდა...

სიკვდილით დასაჯეს ტახტის უიღბლო პრეტენდენტიც თავის უმცროს ძმასთან ერთად. შაჰ-სეფიმ მოკვეთილი თავები გაუგზავნა ყორჩიბაშის ცოლს (ანუ თავის მამიდას). შაჰ-აბასის ასულმა წარბიც არ შეხარა და ცივად წარმოთქვა, ასე დაემართება ყველას, ვინც ჩვენი მბრძანებლის ღალატს გაივლებს გულშიო. ხოლო ყორჩიბაშმა მორჩილად განუცხადა შაჰ-სეფის: რომ გებრძანებინა, მე თვითონ მოვკვეთდი თავს ორივესო. მაინც ვერ გადაურჩა სიკვდილს ისა-ხან ყორჩიბაში (სხვათაშორის, იგი იყო ყიზილბაშთა ლაშქრის მთავარსარდალი მარაბდის ომში).

შაჰისათვის გაწეულმა სამსახურმა „დაცვის სიგელი“ მოუხვეჭა ხოსრო-მირზას. მისი ბედის ვარსკვლავი თამამად ჭახჭახებდა სეფიანთა ირანის პირქუშ ცაზე. ვახუშტის მიხედვით, მადლიერი შაჰ-სეფი თურმე მამას უწოდებდა ქართველ ყულარაღასს. ფარსადან გორგიჯანიძე მეტსაც ამბობს: „ერანის საქმე როსტომ მეფეს ეკითხოდა“.

1632 წლის დამლევს შაჰ-სეფიმ თავის მამობილს ქართლის მეფობა უწყალობა. ხოსრო-მირზა წარსულს ჩაბარდა. ასპარეზზე გამოვიდა როსტომ მეფე.

ქართლის ახალ მეფეს ლაშქარი გააყოლეს ირანის სპასალარ როსტომ-ხან სააკაძის სარდლობით. 1633 წლის დამდეგს როსტომ მეფე უკვე თბილისში იყო.

თანადამხვდური და თვითმხილველი ავტორი, კათოლიკე მისიონერი ჯუსტო პრატო მოგვითხრობს:

19 თებერვალს, შუაღამისას, გორში მოვიდა მაცნე და ყვირილი მორთო, ხალხო, თავს უშველეთ, თეიმურაზ მეფე იმერეთს გაიქცა და ირანის ლაშქარი უკვე ქართლში შემოვიდაო. ახალმა ამბავმა შიშის ზარი დასცა ყველას. მთელი ქალაქი ფეხზე დადგა, დაიწყეს გახიზვნა უღრან ტყეებსა და მთებში. მისიონერებს მაინცდამაინც არ შეშინებიათ, რადგან იცოდნენ, რომ ქართლის ახალ მეფეს მრავალი ღვაწლი მიუძღოდა ისპაანის მისიონერების წინაშე, მფარველობდა და პატივს სცემდა მათ. დილით ცხენებზე შესხდნენ და საჩუქრებით ხელში გაემართნენ ახალი მეფის შესახვედრად, რომელიც ჯერ სამი დღის სავალზე იყო გორიდან და მისიონერები უკან დაბრუნდნენ საღამოსვე, ქალაქგარეთ ხიფათს არ გადავეყაროთო.

როდესაც გორს მიუახლოვდა როსტომი, ქალაქის წარმომადგენლები შეეგებნენ. მან გულუხვად დასაჩუქრა ბსინი, ფარჩის ხალათები უბოძა და მათი თავკაცი მამასახლისად დანიშნა. შემდეგ შიკრიკი გაუგზავნა მისიონერებს, ნუროფრის შეგეშინდებათ, ძალიან მოხარული ვარ, რომ „ფრანგები“ (ე. ი. ევროპელნი) ჩემს სამეფოშიც მოიპოვებიანო. ისევე როგორც თეიმურაზის დროს, მისიონერები ახლაც გაათავისუფლეს გადასახადებისგან. როსტომ მეფემ განუცხადა მათ: წყლის, ქარისა და მზის გარდა ვერავინ გაბედავს დაუკითხავად შემოსვლას თქვენს სახლშიო.

ლაშქრის ავანგარდი განლაგდა ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, რომ არ გაეპარტახებინათ ბაღები და ნათესები. ხოლო 31 მაისს მთელმა ლაშქარმა გორთან მოიყარა თავი. ქალაქიდან გასასვლელი გზები გაჭედილი იყო მეომრებით, ცხენებით, აქლემებით, ხარებითა და კარვებით.

ლაშქარი გორში იმყოფებოდა 12 ივლისამდე. კირითა და გაუთლელი ქვით ააშენეს ციხე ქალაქის შუაგულში მდებარე მთაზე. მუშაობდნენ „სასწაულებრივი სისწრაფით“ და ოცდახუთ დღეში ციხე მზად იყო. სხვაგანაც გაამაგრეს ციხეები (ქართული და სპარსული წყაროების მიხედვით — სურამში და ალავერდის ტაძართან). გორის ციხეში ჩააყენეს ხუთასი ყიზილბაში მეთოფე და გააწყვეს თხუთმეტი ზარბაზანი.

როსტომ-ხან სააკაძის მეომრები იქცეოდნენ დიდი ზრდილობითა და თავმდაბლობით, არაფერს აშავებდნენ და ნაყიდი საქონლის ფასს კეთილსინდისიერად იხდიდნენ. ჯუსტო პრატო ასკვნის, ქართველებს არავითარი საფუძველი არა აქვთ პროტესტისათვის, ხოლო თეიმურაზის საქმე წასულიაო.

როსტომ მეფე თავისი ამალით სტუმრად ეწვია მისიონერთა ეკლესიას. ინტერესით დაათვალიერა იქაურობა. ლარის ხანმა 36 სკუდი აჩუქა მისიონერებს ერთ პატარა ნახატში. ეს იყო არქანჯელო ლამბერტის ნამუშევარი — წმინდა გიორგი ცხენზე. მისიონერებმა როსტომ მეფეს უძღვნეს სურათი ქალაქ გორისა, ახლად აშენებული ციხითურთ. როსტომს ძალიან მოეწონა საჩუქარი.

როდესაც ლაშქარი აიყარა გორიდან, მეფემ მოსვენება დაკარგა. თავის მცველთა რაზმს სამასი კაცი დაუმატა და ესეც ეცოტავებოდა. ქართველებმა არ მიღალატონო, ფიქრობდა და ღამეებს თეთრად ათენებდა ერთგულ მხლებლებთან ერთად. ყოველ ღამით იმართებოდა საზეიმო ლხინი, განუწყვეტლივ ისმოდა დოლ-საყვირისა და ჰაერში სროლის ხმები. მხოლოდ მზის ამოსვლისას წვებოდა დასაძინებლად. ასე გაატარა ივლისი და აგვისტო.

ჯუსტო პრატოს რელაციაში ბოლოს აღნიშნულია, რომ ოქტომბრის დამდეგს გორში ქარავანი ჩამოსულა თავრიზიდან და ტყვიაწამლის მარაგი ჩამოუტანია მეციხოვნეთათვის.

...ქართლის თავად-აზნაურებმა მორჩილება გამოუცხადეს თავის კანონიერ მეფეს — ქართლის ბაგრატიონთა შთამომავალს. მხოლოდ ფარსადან ციციშვილი არ ეახლა როსტომ მეფეს, ისიც სპასალარ როსტომ-ხან სააკაძის შიშით („იმისთვის ვერ მოვიდა, — გვამცნობს ქართული წყარო, — რომ სარდლის სახლზედა ძალი და უსამართლო მოუძღოდა“). სააკაძის შურისძიებას უფრთხოდა ციციშვილი და მაინც ვერ აიცდინა. ირანის სპასალარმა მაშინვე ისარგებლა შემთხვევით, ხელზე დაიხვია ფარსადანის ურჩობა და ლაშქარი გაუსია საციციანოს.

ფარსადან გორგიჯანიძე გვაუწყებს: „ეს როსტომ მეფემ იწყინა და სარდალს კაცი მიუგზავნა: თავად საქართველო აოხრებული არის, რაც დარჩომილა, იმასაც თქვენ ამოიხრეტეთო, მაშ მე რისიღა ბატონი ვიქნებიო“. როსტომ-ხან სააკაძეს არ ეჭაშნიკა როსტომ მეფის საყვედური და გაწყრა. ორივემ არზა მისწერა შაჰ-სეფის. ირანის მბრძანებელმა ქართლის მეფეს დაუჭირა მხარი და საქართველოდან გაიწვია სპასალარი. „რა სარდალი საქართველოს გაეცალა, ფარსადან ციციშვილი და ან სხვანი საცა დახიზნულიყვნენ, ყველანი მოვიდნენ. დაიწყეს აშენება, ხვნა, თესვა“.

ქართველი ხალხის გმირულმა ბრძოლამ დღის წესრიგიდან მოხსნა საქართველოს გაყიზილბაშების ენერგიული პოლიტიკა, რომლის სულისჩამდგმელი იყო შაჰ-აბასი. ირანის ძლევამოსილი ხელმწიფე ისე ჩავიდა საფლავში, რომ თავის ნებაზე მაინც ვერ გადაჭრა „გურჯისტანის საკითხი“. მარაბდაში დაღვრილ სისხლს უქმად არ ჩაუვლია. სეფიანთა სახელმწიფომ ვერ შთანთქა საქართველო, თუმცა წელში გატეხა და დაასუსტა. სამაგიეროდ ყიზილბაშებიც დასტა-დასტად ჩაწვნენ მიწაში, მარაბდის ველზე თუ მარტყოფთან, ქსნის ხეობაში თუ წიწამურთან, და ვინ მოთვლის კიდევ რამდენ ადგილას გაეთხარათ სამარე; ყველგან გაეთხარათ, სადაც კი გაიარეს და სადაც კი გაჩერდნენ.

თავის საბოლოო მიზანს ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია. ორივე იძულებული გახდა, რომ ხმალი ქარქაშში ჩაეგო და დათმობაზე წასულიყო. არც ყიზილბაშებს ეთქმოდათ გამარჯვება და არც ქართველებს — დამარცხება. ქართველი ხალხი რჩებოდა თავის მიწაზე, მას აღარ ემუქრებოდა აყრა-გადასახლება. სამეფო ტახტზე იჯდა არა ყიზილბაში ხანი, არამედ ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელი.

ამდენი ომით ღონეგამოლეულ ქვეყანას მოსვენება სჭირდებოდა, ფიზიკური მოსპობის პირას რომ არ მისულიყო ქართველი ერი. თვით ცხოვრებამ გადაწონა გამარჯვების სასწორი როსტომ მეფის მხარეზე. კიდევ ერთხელ დადასტურდა ძველად ნათქვამი სიბრძნე, რომ ყველაფერს თავისი ჟამი აქვს ამ ქვეყნად; რომ არსებობს ჟამი წყლულებისა და ჟამი კურნებისა, ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა, ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა, ჟამი გოდებისა და ჟამი განცხრომისა, ჟამი ომისა და ჟამი მშვიდობისა.

როსტომ მეფემ — „შორსმჭვრეტელმა სახელმწიფო მოღვაწემ“, (როგორც ახასიათებს მას ინგლისელი ქართველოლოგი დ. ლენგი) მთელი თავისი ნიჭი და ენერგია იმისკენ მიმართა, რომ მოეშუშებინა მრავალგზის დარბეული მიწა-წყლის ჭრილობები. შეწყდა ყიზილბაშთა თარეში, ირანიდან სამშობლოში დაუბრუნეს ტყვედ წაყვანილი ქართველები. გამოცოცხლდა ვაჭრობა-ხელოსნობა, შეუდგნენ გზებისა და ხიდების მშენებლობას. „როსტომმა ყველგან აღადგინა მშვიდობა და წესრიგი, მართავდა ქვეყანას დიდი მოწყალებითა და სამართლიანობით“, — წერდა ცნობილი ფრანგი მოგზაური შარდენი.

ქართლის მეფემ ცოლად შეირთო სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის და — მარიამი („მზე შავის ზღვით ამოსული“, — როგორც ამბობს ფარსადან გორგიჯანიძე). როსტომის სახელოვანმა თანამეცხედრემ დიდი ამაგი დასდო ქართულ კულტურას. გადაწერილი იქნა „ქართლის ცხოვრება“. დღეს რომ მარიამ დედოფლისეულს ვუწოდებთ. მისივე კეთილისმყოფელი გავლენით, ქართლის მაჰმადიანი მეფე ქრისტიანობაზე ზრუნავდა. ბერი ეგნატაშვილის სიტყვით, როსტომმა ქართული სამღვდელოება იმით დაიერთგულა, რომ „ყოველთავე ჯამაგირი განუწესა, თავდაბლად და ტკბილად ექცეოდა... აღაშენა წმიდა კათოლიკე ეკლესია, მცხეთის გუმბათი და სხუანიცა რომელნიმე მოოხრებული ეკლესიანი აღაშენნა“.

ცხადია, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ როსტომ მეფემ „ქართველობის“ შენარჩუნებასთან ერთად გზა გაუხსნა „ყიზილბაშურ“ გავლენას საქართველოს ყოფა-ცხოვრებაში. ერთდროულად მფარველობდა ქრისტიანებსაც და მაჰმადიანებსაც. ამის გამო ცხარე საყვედურებს გამოთქვამენ მისი მისამართით იგივე ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი. (როსტომის მოღვაწეობის ორმხრივი ხასიათი სათანადოდ არის ხაზგასმული და შეფასებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. არც ავია მიჩქმალული, არც კარგი).

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ქართველმა ხალხმა სული მოითქვა, საქართველო „აღდგომისა და გამოხსნისათვის“ ძალას იკრებდა, სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ემზადებოდა.

პროკურორის ჩანაწერები

ნუ ეთამაშებით იარაღს

მაშინ ჯერ ისევ გამომძიებლად ვმუშაობდი. პლეხანოვის პროსპექტზე, სწორედ ჩვენი პროკურატურის შენობის ახლოს მოთავსებული იყო საბილიარდო. ერთ საღამოს პროკურორმა გამომიძახა და მითხრა — საბილიარდოში კაცი მოუკლავთ და გამოარკვიე რაშია საქმეო.

მაშინვე მკვლელობის ადგილს მივაშურე. შევედი, ვხედავ, გდია იატაკზე ახალგაზრდა, წარმოსადეგი ვაჟკაცი... მარჯვენა ხელში რევოლვერი შერჩენია. ტყვია მარჯვენა მხრიდან მარცხენა საფეთქელშია გასული... სისხლი ჯერ ისევ წვეთავს.

აშკარა თვითმკვლელობაა.

დავადგინე თვითმკვლელის ვინაობა. აღმოჩნდა, რომ ეს იყო ცნობილი უსაქმური და მოხეტიალე ყორა თუშმალიშვილი. დილიდან საღამომდე საბილიარდოებსა და ლუდხანებში იყო, უნებართვოდ ატარებდა ნაგანის სისტემის რევოლვერს და თავის ამფსონებთან სდებდა მეტად სულელურ სანაძლეოს.

როგორც მოგეხსენებათ, ნაგანის დისკოში ეტევა შვიდი ვაზნა, ყორა ჩასდებდა ექვსს, ხოლო მეშვიდე ხვრელი ანუ ბუდე ვაზნის ჩასადებად — ცარიელი იყო. ამის შემდეგ მარცხენა ხელით, ზედ დაუხედავად, დაატრიალებდა დისკოს, შეუმოწმებლად მიიდებდა ნაგანის ლულას საფეთქელთან და დააცემინებდა ჩახმახს. ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად ყორა ისე დაოსტატებული იყო, რომ დარტყმა ზუსტად უვაზნო ხვრელში ხვდებოდა და, მაშასადამე, სანაძლეო მოგებული იყო: ყორას იმ დღეს მოპირისპირის ხარჯზე უნდა ექეიფნა.

ეს იყო, რა თქმა უნდა, ყოვლად უაზრო და სულელური თამაში სიკვდილთან. საკმარისი იყო ოდნავი უზუსტობა დაეშვა დანაძლევებულ ყორას და ტყვიას მიიჭედებდა საფეთქელში. აკი ასეც მოხდა — ამჯერად უმტყუნა ბედმა.

ასეთი საქმე ჯერ არ შემხვედროდა. დავინტერესდი, თუ ვინ მოიგონა ეს უცნაური სანაძლეო. თურმე მას ძველისძველი „ტრადიცია" ჰქონია. მეფის არმიაში, იუნკერთა სკოლებს და კადეტთა კორპუსებს შორის იყო ერთი განსაკუთრებით პრივილეგირებული სასწავლებელი, რომელიც ამზადებდა კადრებს საიმპერატორო გვარდიისათვის. ამ სკოლაში ჰქონიათ დუელის მეტად ახირებული წესი, როცა კონფლიქტის გადასაჭრელად ორი კაცი კი არ ებრძოდა ერთიმეორეს, არამედ მარტო ერთი სცდიდა ბედს. იმ იუნკერს, ვინც [illegible]ად საქციელს ჩაიდენდა, თავისივე ამხანაგები აიძულებდნენ თავ[illegible]ისი [illegible]ისხლით მოეგანა დანაშაული"; ისიც აიღებდა ნაგანს, და ზემოთ აღწერილი უსაქმური ყორას მსგავსად იწყებდა „დუელს თავის თავთან".

ასე მოულოდნელად იჩინა თავი საბილიარდოში ძველი დროის უმსგავსმა „ტრადიციამ". ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ როგორი გამძლეა ხანდახან წარსულის ესა თუ ის ავბედითი გადმონაშთი და რა შედეგი მოსდევს იარაღთან სულელურ თამაშს.

რით გათავდა მაღარიჩი

ეს ამბავი სოფელ კარდანახში მოხდა, კარგა ხნის წინათ. შარაგზის პირას მდებარე სახლის ეზოში, ფიცრის მაღალი ღობის ძირში ისხდნენ ბავშვები — შვიდი წლის ქეთინო და სამი წლის პეტო. დედ-მამა დილით ადრე ვენახში [illegible]ასულიყვნენ. გოგონას პური და ყველი გამოეტანა სახლიდან და ორივენი გემრიელად შეექცეოდნენ საუზმეს.

უეცრად ფიცრის ღობე გრუხუნით გადმოიქცა, ბავშვები ქვეშ მოიყოლა და მათ ზედ გადაუარათ სამტონიანმა თვითმცლელმა ავტომანქანამ. შოფერმა სწრაფად მოაბრუნა თვითმცლელი, გამოიჭრა ისევ გზატკეცილზე და მთელი სისწრაფით გაექანა წინ. ეს სულ წუთების საქმე იყო, ამიტომ ვერც მეზობლებმა და ვერც გამვლელმა ხალხმა დროზე ვერაფერი შეიტყვეს. მერე კი, ფიცრის დანგრეული ღობე აიღეს და ბავშვების გვამები აღმოაჩინეს.

როგორც კი გავიგე ეს თავზარდამცემი ამბავი, იმ წამსვე პირადად მოვკიდე საქმეს ხელი. წავიყვანე უბნის გამომძიებელი და წავედით სოფელში. არც შოფრის ვინაობა, არც მანქანის ნომერი არავინ იცოდა; მშრალი ამინდი იდგა და ავტოინსპექტორმა ბიწელაშვილმა საბურავების ნაკვალევიც ვერ აღმოაჩინა. ეს კი მითხრა, მანქანა უსათუოდ სატვირთო იქნებოდაო.

ფრთხილად დავათვალიერე იქაურობა და უცებ შევნიშნე კირის მცირე ნაფხვენები, რომელიც დაბნეული იყო რამდენიმე ადგილას, ალბათ მანქანის ეზოში შეკრის დროს. შევაგროვე ეს ნაფხვენები, გავახვიე ქაღალდში და შევინახე; იმ აზრმა გამიელვა, რომ მანქანა კირიანი უნდა ყოფილიყო; კირს ამ სოფლებში, უმთავრესად წითელწყაროს კირის ქარხნიდან ეზიდებიან; მაშინვე გავწიე იქით. ლაბორატორიულმა ანალიზმა დაადასტურა, რომ კირი ამ ქარხნიდან იყო წაღებული; იმავე დროს, წითელწყაროს ავტოსატრანსპორტო კანტორაში შევამოწმე საგზურები და გამოირკვა, რომ რამდენიმე მანქანიდან ერთი თვითმცლელი, გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენში წავიდა. დავრწმუნდი, რომ კვალი სწორად მჭონდა აღებული.

სულ მალე ახაშენში ვიყავ, ვნახე კოლმეურნე, რომელიც ახალ სახლს აშენებდა. გამოვკითხე, შოფერმა კირი მას ნამდვილად მოუტანა. გადმოცალეს. მერე, მოგეხსენებათ, ჩვენი წესი ასეა, შოფერს პატარა სუფრა გავუშალე, აბა უმაღარიჩოდ ხომ არ გავუშვებდი, თითო ჭიქა დავლიეთო.

— მარტო თითო ჭიქა? — ვკითხე კოლმეურნეს.

— რა დაგიმალო, თითო ხელადა გამოვცალეთ.

უკვე გასაგები იყო, რომ შოფერი ფედოროვი გაოგნებული მთვრალი წასულა აქედან ცარიელი მანქანით.

ძიების დამთავრებისთანავე გავეცი სანქცია შოფრის დაპატიმრებაზე. იგი მაშინვე გამოტყდა, ოღონდ თავს იმით იმართლებდა თითქოს წინ, აღმოსავლეთის მხრიდან მომავალმა ავტომანქანამ გზა არ მისცა, ამიტომ მარცხნივ გადაუხვია და ღობე გადაანგრია. მან შენიშნა კიდეც, თუ რა შედეგი მოჰყვა მის მიერ მოძრაობის წესების დარღვევას, მაგრამ თავს უშველეს; შოფერი ძალიან დაბნეული იყო, აღარ იცოდა რა ეთქვა — ჰყვებოდა, რომ მასაც ორი მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავს, რომ კირის მეპატრონემ ერთი კალათი ყურძენი გამოატანა ბავშვებთან საჩუქრად. როცა ვუთხარი შენ თვითონ ბავშვების მამას, ახლა ყურძენზე რა გალაპარაკებს-მეთქი, ატირდა, და გამოტყდა — ძალიან მთვრალი ვიყავ და ამან დამღუპაო.

დამნაშავის საქმე სასამართლოს გადაეცა.

ნამუსიც კარგი საძოვნელია

კახეთში მუშაობის დროს ვიცნობდი ერთ დარბაისელ კაცს, ინტელიგენტს. თავაზიანი იყო, თავმდაბალი, წყნარი, მისი ცუდი სიტყვა არავის ახსოვდა. ერთხელ, მიღების საათებში მოვიდა ჩემთან, მთხოვა მომესმინა, მაგრამ ისე იყო აღელვებული და დაბნეული, აღარ იცოდა საიდან დაეწყო თავისი სათქმელი.

— ვანო, შენთან როგორც პროკურორთან, ისე კი არ მოვედი. რაღაც გადავწყვიტე და მინდა რჩევა გკითხო.

— მითხარი და თუ რამე შემიძლია...

— ცოლს მინდა გავეყარო.

გაკვირვებულმა შევხედე. სამოც წელს გადაცილებული კაცისაგან ასეთი რამის გაგონებას არ მოველოდი.

— რა მოხდა, კაცო ასეთი?

— არავისი აღარაფერი მწამს, არც შინაურისა და არც გარეშესი. მარტო მინდა ვიყო...

— მიზეზს არ იტყვი?

— დასამალი არაფერი მაქვს. ახალგაზრდობიდან მე და ჩემს ნინოს სადავო და საჩხუბარი არაფერი გვქონია. მიყვარდა, იმასაც ვუყვარდი. ორი ოთახი გვაქვს კომუნალურ ბინაში. ამ ათიოდე წლის წინ ნინო ჩამაცივდა — შვილი მაინც არა გვყავს, მოდი, ჩემს უმცროს დას თინას ჩამოვიყვან, სოფელში სწავლობს, გავზარდოთ, გათხოვდება და მუდამ ჩვენი მადლობელი იქნება, ამაგს არ დაგვიკარგავსო.

უარს როგორ ვეტყოდი, დავთანხმდი. იზრდებოდა გოგო ჩვენთან, როგორც შვილს, ისე ვეპყრობოდი. წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, სიმწიფის ატესტატი აიღო. ცოლმა მითხრა, ამდენი მადლი ვუქენით, ბარემ მარილიც მოვაყაროთ, თინას ყოფილი თანაკლასელები დავუპატიჟოთ და ქეიფი გადავიხადოთ, ახალგაზრდები ცხოვრების დიდ გზაზე გამოდიანო. არც ამაზე ვთქვი უარი: ცოტათი კი გამიკვირდა, როცა შევხედე, თუ რა დიდ ქეიფს აწყობდნენ ჩემს ოჯახში. მაინც არაფერი დავზოგე, ცოტა რამ თანხა მე თვითონ მჭონდა გადანახული, ცოტა ვალიც ავიღე და ისეთი სუფრა გავაწყე, საქორწილოდ არ დაიწუნებოდა. მე სულელმა, რა ვიცოდი, თურმე მართლა ქორწილს აწყობდნენ, მაგრამ მე მიმალავდნენ. ყველაფერს მაშინღა მივხვდი, ახალგაზრდები რომ შექეიფიანდნენ და ატეხეს ძახილი „გორკა, გორკაო". წამოდგნენ თინა და გივია (ასე ჰქვია ნეფეს), გადაკოცნეს ერთმანეთი, მიულოცეს ამხანაგებმა, ბოლოს გივიამ ყანწი აავსო და ჩემი სადღეგრძელო დალია, ათასი საქებარი სიტყვა მითხრა, მეც რას ვიზამდი, ვთქვი მისალოცი ტოსტი.

დილას რომ გამოვფხიზლდი, ვხედავ, ჩემი საწერი მაგიდა, წიგნების კარადა, დანარჩენი ავეჯი უწესრიგოდ გამოუყრიათ აქეთ ოთახში, იქით კი ნეფე-დედოფალი დაბინავებულან. კარგი, ქორწილი ისე გადამახდევინეს, არა მკითხეს, ეს რაღა ღვთის წყრომაა-მეთქი, ავენთე. მითხრეს, შენმა ცოლმა თავიდანვე სულყველაფერი იცოდა და ასე ამბობდა — მაგისი მოჭკვიანება ჩემზე მოაგდეთო. კინაღამ ჭკუაზე შევიშალე. აივსო ჩემი მოთმინების ფიალა. შეიძლება კაცი ასე გაწირონ და აბუჩად აიგდონ ახლობლებმა? მივმართე სასამართლოს, არაფერი გამოვიდა, მეორე ოთახი თინას მიაკუთვნეს, მან თავისთან ჩაწერა ქმარი, ახლა მინდა ცოლს გავცილდე, ის დარჩენილი ოთახი შუაზე არ გაიყოფა, მაგრამ თავში ქვა უხლიათ, ისიც იმათ ჰქონდეთ. არაფერი აღარ მინდა. სჯობია სულ გავცილდე ასეთ ადამიანებს. რას მეტყვი ამაზე?

— რა უნდა მეთქვა, თვითონ ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა.

ასეც მოიქცა. ხუთი წლის შემდეგ რომ შემხვდა ეს ჩემი ნაცნობი, გაახალგაზრდავებული მეჩვენა, ხალისით და სიცოცხლით სავსე იყო.

ვანო გურდულაძე

გასულ დღეების გახსენება

ქართული მემუარული ლიტერატურა ძალიან დარიბია. ჯერ ისევ რევოლუციამდე კიტა აბაშიძე ჩიოდა ამის გამო. წერილში „ჩვენი მწიგნობრობა და კრიტიკის უქონლობა“ იგი აღნიშნავდა, რომ შეუძლებელია ყოველმხრივ, სავსებით განსაჯო შორეული თუ ახლო წარსულის რომელიმე ლიტერატურული მოვლენა, რომელიმე ნაწარმოები, თუ არ იცი იმ დროის მთელი შინაგანი ვითარება, ფიქრები და ხასიათი თვითონ მწერლისა, რომელსაც ყველაზე კარგად მემუარული ნაშრომები გადმოსცემენო. კ. აბაშიძის ამ სიტყვების შემდეგ ქართული მემუარული ლიტერატურა არც ისე დიდად გამდიდრებულა. ასეთ ვითარებაში, ცხადია, ღრმა ინტერესს იწვევს ყოველი მოგონება, ან ეპისტოლარული, ან მემუარული ხასიათის დოკუმენტი, რომელიც წარსულის სურათს დაგვიხატავს.

ამიტომ მოხდა, რომ მკითხველი ინტერესით შეხვდა პროფ. დავით კობიძის წიგნს „როცა ახალი ცხოვრება იწყებოდა“, რომელიც ახლახან გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“ და რომელიც ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების ლიტერატურულ ატმოსფეროს აგვიწერს. ეს იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლები; ქართველი ხალხი იწყებდა თავისი ცხოვრების ახალ ეპოქას, დაძაბულ შემოქმედებითს მუშაობას სოციალიზმის ასაშენებლად. ქართველი ინტელიგენცია, მისი მოწინავე რაზმი იდგა თავისი ხალხის მხარდამხარ და იწყებდა დაძაბულ მუშაობას ახალი კულტურის შესაქმნელად. მაგრამ ახლის წარმოქმნის გზაზე ბევრი რამ ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. მწერლები გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა ლიტერატურულ დაჯგუფებებში, არსებობდა დეკადენტური ლიტერატურული სკოლებიც, მაგრამ ისიც ნათელი იყო, რომ ახალგაზრდა საბჭოთა ლიტერატურა სულ უფრო და უფრო მძლავრად იკიდებდა ფეხს, მის მხარეზე გადადიოდნენ მწერლები, რომლებიც ადრე დეკადენტურ სკოლებს ეკუთვნოდნენ.

დავით კობიძე სწორედ იმ ხანებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, წერდა ლექსებსა და ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს. მართალია, ის ბოლომდე არ გაჰყოლია პოეზიას; დავითი დღეს ცნობილი ირანისტია და მეტად ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — ზრდის და ხელს უწყობს ახალგაზრდა ირანისტთა კადრებს. დავით კობიძეს, როგორც მეცნიერს და როგორც ირანისტს, როგორც შესანიშნავი გამოკვლევების ავტორს ქართულ-სპარსული კულტურული ურთიერთობის თემაზე, იცნობენ არა მარტო საქართველოსა და რუსეთში, არამედ ევროპისა და აზიის ქვეყნებშიც.

20-იან წლებში დავით კობიძე დაახლოებული იყო იმ დიდ ქართველ მწერლებთან, რომლებმაც შემდგომში შექმნეს ახალი ქართული საბჭოთა პოეზია. მისი მოგონებების ფურცლებზე ხშირად გვხვდება გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ნიკოლო მიწიშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, გიორგი ქუჩიშვილის, იოანა ვაკელის, ალიო მაშაშვილის, კარლო კალაძის, ვიქტორ გაბესკირიას და სხვათა სახელები, ავტორი მოგვითხრობს მათთან საინტერესო შეხვედრებზე, ლიტერატურულ საღამოებსა და დისპუტებზე.

იმდროინდელი ლიტერატურის მიმოხილვისას ავტორი ჩერდება კერძოდ „ცისფერი ყანწების“ ჯგუფზე და აღნიშნავს, თუ რა როლი შეასრულეს მათ ქართული ლექსის ფორმების განვითარების თვალსაზრისით, აქ იგი ამბობს:

„აღნიშნული ლიტერატურული მიმდინარეობის დახასიათებისას უნდა დავეთანხმოთ XX საუკუნის ქართული ლიტერატურის გამოჩენილ მკვლევარს პროფ. ს. ჯილაიას. ის წერს: „ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკას, სხვადასხვა მიზეზების გამო, ყოველთვის ზუსტი ლიტერატურული თვალსაზრისი არ ჰქონია ამ ავტორების შეფასების დროს. ბევრ შემთხვევაში ცალმხრივი ვიყავით მათი ღვაწლის დახასიათებისას. ამ მწერლების შემოქმედებითი გზის განხილვა შესაძლებლობას მოგვცემს თვალნათლივ დავანახოთ მკითხველს, განსაკუთრებით კი ჩვენს ახალგაზრდობას, რომ მათს ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ის არის ყველაზე ძვირფასი და საინტერესო, რაც უკავშირდება რეალიზმს, საბჭოთა ეპოქას, ხოლო მათს ადრინდელ ზაუმურ-სიმბოლისტურ ძიებებს ლიტერატურისათვის თუ აქვს ერთგვარი მნიშვნელობა. თავისთავად კი ამ თაობის მიერ ლიტერატურული ფორმის საკითხის მწვავედ დაყენება და ფორმალიზმით გატაცება მომზადებული იყო ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების პირობებით“. (მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, ნაწილი მესამე, თბილისი, 1962, გვ. 4“).

შემდეგ, დ. კობიძე განაგრძობს:

„ჩემი აზრით, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მეცნიერული გზებითა და მეთოდებით შესწავლილ იქნეს თვითეული ლიტერატურული მიმართულება, დაჯგუფება, რომლებიც კი ჩვენში არსებობდა (სიმბოლიზმი, ფუტურიზმი და სხვ.) ასეთი გამოკვლევები და მონოგრაფიები საჭიროა ქართული ლიტერატურის ისტორიის სრულყოფილი შესწავლისათვის.

ამასთან, ლიტერატურულმა კრიტიკამ თავის მუშაობაში გარკვეული ადგილი უნდა დაუთმოს ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობის პერიფერიულ განშტოებათა შესწავლას, რადგანაც უამისოდ მთელი ლიტერატურის პროცესების შესახებ ძნელია ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ.

საქმე ის არის, — დაასკვნის კობიძე, — რომ ლიტერატურის ძირითადი მიმდინარეობის ნაპირებზე მთელი რიგი პოეტები და მწერლები რჩება, რომელთა შემოქმედება საზოგადოებრივი ცხოვრების მოტივებით არ არის დამძიმებული, ისინი განზე დარჩნენ, მაგრამ მათი შემოქმედების შესწავლა ამა თუ იმ საკითხის კვლევისას ზოგჯერ დიდ დახმარებას გვიწევს. ჩემს მოგონებებში მე, ზოგჯერ, უურადღებას ვუთმობ დღეს ჩვენი საზოგადოებისათვის სრულიად უცნობ, ან ნაკლებად ცნობილ პოეტებს, რომლებიც „ნაპირებზე დარჩნენ“, მაგრამ მათი შესწავლაც საჭიროდ მიმაჩნია XX საუკუნის 20-30-იანი წლების ქართული პოეზიის სრული სურათის აღსადგენად“.

ამ ხარვეზის შესავსებად დავით კობიძე თავის მოგონებებში მრავალ დავიწყებულ სახელს ახსენებს.

ამ მოგონებებში სხვაც ბევრი რამ არის საინტერესო. აი, თუნდაც ცნობები იური მარზე — როგორი მასწავლებელი იყო იგი ჩოხატაურის გიმნაზიაში, როგორ კითხულობდა ლექციებს თბილისის უნივერსიტეტში; შემდეგ აქვეა ცნობები ფერიდანელ ქართველზე — სეიფოლა იოსელიანზე; მოგონებებში განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა ეპოქის დიდ პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს, ავტორი მოგვითხრობს მის ლიტერატურულ საღამოებზე, იძლევა პოეტის პიროვნულ დახასიათებას.

საინტერესოა ავტორის ჩანაწერებიც თავისი მასწავლებლობის დროიდან. აქ მოცემულია მკაფიო სურათი იმ დროის აჭარის ცხოვრებისა.

ამ წიგნს ჩვენი მკითხველი ინტერესით წაიკითხავს.

თინა ჩიგოგიძე

მოკლეა



ციხიდან ოლიმპიადაზე

ამერიკელ მოკრივეს უმჩატეს წონაში ლი ჰანტერს, რომელსაც მკვლელობისათვის თვრამეტი წელი აქვს მისჯილი და მანინგის (კაროლინის შტატი) ციხეში ზის, უახლოეს ხანში ევროპაში სასიამოვნო გასეირნება ელის.

როგორც პრესა იუწყება, ლი ჰანტერი ჩარიცხულია ამერიკის შეერთებული შტატების მოკრივეთა გუნდში, რომელიც მიუნხენში გაემგზავრება ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად.

მოკრივეს სიხარულსა და სპორტულ აღტკინებას მხოლოდ ერთი გარემოება ანელებს: ლი ჰანტერს დააკისრეს გარკვეული თანხა გადაიხადოს იმ მცველთა შესანახად, რომლებსაც მის სადარაჯოდ გზავნიან მიუნხენში.

ვინ დაწერა „ომი და მშვიდობა“?

ინგლისურმა სამეცნიერო ჟურნალმა „ედიუქეიშნლ რისერჩმა“ გადაწყვიტა შეემოწმებინა პედაგოგიური კოლეჯების სტუდენტების ცოდნა. ამ მიზნით მოაწყო ანკეტა. ერთ-ერთი ცნობილი კოლეჯის სტუდენტმა დასმულ კითხვაზე უპასუხა, რომ საქვეყნოდ სახელგანთქმული რომანის „ომი და მშვიდობის“ ავტორია... უინსტონ ჩერჩილი. სხვა სტუდენტებმა ამ ნაწარმოების ავტორად დაასახელეს გრემ გრინი და ლევ ტროცკი... ჟურნალის მიერ დაკითხული მანჩესტერის, გლაზგოსა და ლონდონის კოლეჯების 586 სტუდენტიდან, მხოლოდ ძალიან ცოტამ გასცა სწორი პასუხი: ლევ ტოლსტოი. სტუდენტებმა ვერ უპასუხეს დანარჩენ 49 კითხვაზეც, რომლებიც მუსიკის, ლიტერატურის, სახვითი ხელოვნების, არქიტექტურის საკითხებს შეეხებოდა. ამ შეკითხვებზე ყოველმა მეოთხე სტუდენტმა არასწორი პასუხი გასცა; ხოლო სწორი პასუხების საშუალო მაჩვენებელმა დაახლოებით 30 პროცენტი შეადგინა. ამ დაკითხვების ორგანიზატორი უილფრედ ჰოპკინსი მორცხვად ამბობს: „მეტად საკამათოა, შეიძლება თუ არა, განათლებულ ადამიანებად ჩავთვალოთ სტუდენტები, რომლებსაც ცოდნის ასეთი დაბალი მაჩვენებლები აქვთ“.

მეცნიერული აზრის კერა

ამას წინათ თბილისში ჩატარდა საქართველოს საისტორიო საზოგადოების მესამე ყრილობა, რომელმაც განიხილა ამავე საზოგადოების პრეზიდიუმისა და სამეცნიერო საბჭოს მიერ ჩატარებული მუშაობა განვლილი ხუთი წლის მანძილზე; ყრილობაზე საანგარიშო მოხსენება წაიკითხა საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარემ აკად. გიორგი ჩიტაიამ. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა ცნობილმა მეცნიერებმა — ისტორიკოსებმა, არქეოლოგებმა, ენათმეცნიერებმა, ეთნოგრაფებმა, ფოლკლორის სპეციალისტებმა, აგრეთვე მასწავლებლებმა და კულტურის მუშაკებმა.

ქართველი საბჭოთა მეცნიერები, კერძოდ ისტორიის დარგის სპეციალისტები გატაცებით ემზადებიან ღირსეულად შეხვდნენ ჩვენი ხალხის დიდ დღესასწაულს — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. ამ მხრივ ხსენებულ საზოგადოებას მრავალი კარგი ღონისძიება აქვს დასახული; საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას აქვს არა მარტო თავისი მშვენიერი აწმყო, არამედ სახელოვანი წარსულიც. საისტორიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში სწორედ ეს საკითხები დგას. ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებს დასაბამიდან აკავშირებდათ მეგობრული ურთიერთლტოლვა, ჩვენი ხალხების მეგობრობას შორეული ისტორიული ფესვები აქვს და ისტორიის მეცნიერების მიზანი სწორედ ის არის, იუბილესათვის მზადების დღეებში უფრო ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლოს ეს ისტორიული სწრაფვა ხალხებისა ურთიერთდაკავშირებისა და დაახლოებისაკენ.

საქართველოს საისტორიო საზოგადოებამ დიდი ღვაწლი და ამაგი დასდო ჩვენი წარსულის შესწავლის საქმეს. იგი დაარსებულ იქნა 1907 წელს, „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ სახელწოდებით. მისი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და პირველი თავმჯდომარე იყო ექვთიმე თაყაიშვილი. მას გვერდში ედგნენ ი. გოგებაშვილი, ალ. სარაჯიშვილი, დ. კარიჭაშვილი, გრ. ყიფშიძე, ს. გორგაძე, კ. კეკელიძე, კ. ცინცაძე, კ. მაყაშვილი, ალ. ცაგარელი, მ. ჯანაშვილი, ი. აბულაძე და სხვები. შემდგომში, ამ საზოგადოების მუშაობაში ჩაებნენ ნ. მარი და ივ. ჯავახიშვილი, მომდევნო თაობიდან — ა. შანიძე, პ. ინგოროყვა, ა. სვანიძე. სულ მოკლე დროში საზოგადოებამ დიდი პოპულარობა მოიპოვა; მისი წევრების რიცხვი 1909 წლისათვის 486 კაცს აღწევდა; დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი ამ საზოგადოების საპატიო წევრი იყო. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება აგროვებდა ერისა და მისი კულტურის ამსახველ სიძველეებს, მართავდა საჯარო კრებებს, სადაც იკითხებოდა მოხსენებები საქართველოს ისტორიასა და ეთნოგრაფიაზე. ძალზე საინტერესო იყო ის საგამომცემლო მუშაობაც, რომელსაც საზოგადოება ეწეოდა. ვის არ ახსოვს მის მიერ გამოცემული მშვენიერი კრებულები: „ძველი საქართველო“ (ოთხი ტომი) და „საქართველოს სიძველენი“ (ოთხი ტომი); ამას გარდა, იმართებოდა გამოფენები, ეწყობოდა ექსკურსიები, სამეცნიერო ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეების შესასწავლად: ცნობილია, კერძოდ, ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიური ექსპედიციები, რომელმაც ბევრი რამ შემატა საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეს.

1911-12 წლების მანძილზე საზოგადოებამ შექმნა წიგნსაცავ-მუზეუმი, სადაც თავი მოუყარეს დიდძალ არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიულ მასალასა და იშვიათ ხელნაწერებს. საზოგადოების წევრთა გულმოდგინე ძიების შედეგად შეგროვდა მონეტების მდიდარი კოლექცია, გადმოღებულ იქნა პირები ძველი ქართული ფრესკებიდან. მთელი ეს საგანძური შემდგომში გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს და საქართველოს ხელოვნების მუზეუმს.

ხსენებული საზოგადოება რევოლუციამდე ერთადერთი სამეცნიერო კერა იყო, სადაც იწრთობოდა სამეცნიერო აზრი; ამ საზოგადოების მეთაურნი ნიადაგს უმზადებდნენ ქართული უნივერსიტეტის დაარსებას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე ამ საზოგადოების სათავეში იდგნენ და მის მუშაობაში უაღრესად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ გამოჩენილი ქართველი საბჭოთა ისტორიკოსები, არქეოლოგები, ენათმეცნიერები — ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ა. ჩიქობავა, ს. ყაუხჩიშვილი, გ. ჩიტაია, ი. ცინცაძე, შ. ამირანაშვილი, ა. აფაქიძე, შ. მესხია და სხვები.

ძნელია ამ მცირე მოცულობის წერილში საზოგადოების მთელი საქმიანობის დახასიათება. აღვნიშნავთ მხოლოდ ცალკეულ საინტერესო ფაქტებს: რომის უნივერსიტეტის პროფესორ ემილიო სერენის მეშვეობით მოხერხდა ქ. პალერმოს საქალაქო ბიბლიოთეკიდან კასტელის სამტომიანი ალბომის კინოფირის მიღება, რომელიც 700-ზე მეტ სურათს მოიცავს და რომელიც რამდენჯერმე უფრო მეტია, ვიდრე ის სურათები, რომლებიც მანამდე ჩვენს განკარგულებაში იყო. ამას გარდა, ბუდაპეშტის ეთნოგრაფიული მუზეუმიდან საზოგადოებამ მიიღო ამჟამად იქ დაცული კავკასიური ეთნოგრაფიული კოლექციის ნუსხა, იმ კოლექციის, რომელიც შეაგროვეს ზიჩიმ და იარხომ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში; მიმდინარეობს ძიება ქართლის სასოფლო-სამეურნეო იარაღების მოდელების ნუსხისა, რომელიც უორდროპების ფონდში ინახებოდა. ჯერჯერობით ამ კოლექციის კვალი არ არის მიგნებული, ამ საქმეზე მუშაობს თბილისის უნივერსიტეტის სტაჟიორი თამარ დრაგაძე. ამას გარდა, საზოგადოებას ხელთ აქვს ნუსხა იმ ეთნოგრაფიულ კოლექციებისა, რომლებიც დაცულია ჰამბურგის კოლონიურ მუზეუმში.

საისტორიო საზოგადოება აწარმოებს დიდ და მრავალმხრივ საგამომცემლო მუშაობას, იბეჭდება როგორც საისტორიო კრებულები, ისე სამეცნიერო-პოპულარული წიგნები, რომელთა ავტორები არიან ჩვენი ცნობილი მკვლევარები.

საქართველოს საისტორიო საზოგადოებას სახელოვანი ტრადიციები აქვს. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული კულტურისა და მეცნიერების წინაშე. ამჟამად იგი დიდ მუშაობას აწარმოებს იმ ამოცანათა განსახორციელებლად, რომლებსაც კომუნისტური პარტია აყენებს ისტორიული მეცნიერების წინაშე.

ნელი ჩაჩავა

ტომის თავგზა დაეგნა

ჩრდილოეთ ირლანდიაში ინგლისის საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლობამ უცნაური ბრძანება გამოსცა: ჯარისკაცებს დაავალა გულმოდგინედ გაჩხრიკონ ჩრდილოეთირლანდიელი ბავშვები და მათ სათამაშო თოფები ჩამოართვან.

საქმე ის არის, რომ ტომის სულ დაებნა თავგზა და ბავშვების სათამაშო თოფები ნამდვილ ავტომატებად ეჩვენება. ამის გამო ინგლისელმა ჯარისკაცებმა არაერთი ბავშვი იმსხვერპლეს — მათი სათამაშოს დანახვაზე უმალ ცეცხლს გახსნიდნენ ხოლმე.

მუსოლინის ქვრივის საჩივარი

სულ ახლახანს მუსოლინის ქვრივმა იტალიის მთავრობას სასამართლოში უჩივლა. ქვრივი მოითხოვს, რომ მისთვის 1968 წლიდან დანიშნული პენსია — 152 ათასი ლირა, გაუდიდონ 228 ათას ლირამდე (დაახლოებით 400 დოლარი); გარდა ამისა, სინიორა მუსოლინი მოითხოვს, რომ მთავრობამ გადაუხადოს გასული წლების პენსიის განსხვავება და დაუბრუნოს გარდაცვლილი მეუღლის მიერ „შეძენილი“ ზოგიერთი ფერმა.

როგორც ჩანს, პენსიონერს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კიდევ უფრო გააფართოვოს თავისი ბიზნესი: იგი ამჟამად მფლობელია საკმაოდ მდიდრული რესტორნისა, რომელიც მისი ბენტოს საფლავის მახლობლად მდებარეობს.





რისთვის არის საჭირო ხურდა ფული

ამას წინათ, ქალაქ მილანში, ტრამვაის ვაგონში მგზავრთა ყურადღება მიიპყრო კარგად ჩაცმულმა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც ხურდა არ აღმოაჩნდა ბილეთის შესაძენად.

კონდუქტორის შეურაცხმყოფელი შენიშვნის საპასუხოდ, ახალგაზრდამ ჯიბეებიდან ლირების 50 ათასიანი დასტები ამოიღო და თავმომწონედ შეათამაშა ჰაერში.

„მილიონერი“ იქვე დააკავეს. იგი აღმოჩნდა ახალბედა მძარცველი, რომელმაც ის-ის იყო წარმატებით ჩაატარა ბანკის გაძარცვის „ოპერაცია“ და შინ გახარებული ბრუნდებოდა.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

პროფესია

იუმორესკა

პროფესიებზე თუ მიდგა ტრაბახი, მე უნდა დავიკვეხო. შოფერი ვარ, ფულიჩეჩვივით მაყრია. ემანდ არა თქვან, დიპლომებიან ზაურას და ბონდოს არა ჰშურთ ტაბაჭუაანთ შოფრისაო.

მენაცვალნენ!

ჯერ კუჭი გაიძღონ და ისე შეხედონ ჩემს სახლს. ან არა და, სახლმმართველობის ბინიდან გამოსახლდნენ და მანქანაზე მერე მებათბათნენ.

ვაი, ჩემს „ვოლგას“ რომ დავაგრიალებ! ჩემი სიყმე მოკვდეს რაღა, თუ მინისტრი არ გეგონო. არა, იმ ჩემ შლაპასაც რომ მოვიგდებ თავზე, მევე მიკვირს რაღა, ეს ტაბაჭუა შოფერია, თუ ტაბახმელა გრაკლოვიჩი?

ამ ბოლო დროს გაზეთების წაკითხვა დავიწყე. მომიხდება-მეთქი სიფათებში რაღა! არა და რაში მაინტერესებს ვინ რას მიაღწია, ემანდ ფულების ხვეტაში არ მაჯობონ!

ჰოდა, იმ დღეს ახალი გაზეთი რომ გავშალე, შიგა, მე შენ გეტყვი, ერთ მწერალს ჩაუწერია — რა პროფესიაც აირჩიე, იმაზე უნდა მოკვდეო. მამაცხონებული, გუშინდელი დღე ხვალინდელს არა ჰგავს და მაშინ ჩემი გიო პაპა მემწვანილედ უნდა მომკვდარიყო. მე რომ მკითხო, ტრაქტორისტის სანთელი თვითმფრინავში ანთია, მაშ! ახლა ის მწერალი იტყვის თვითმფრინავით ხომ არ მოხნავს მიწასაო.

ვა! მიწას კი არ უნდა შეაკლა თავი. მიწა ჩვენი კერძია და ჩვენვე უნდა შევირგოთ. ახლა სხვებმა მოხნან; ძველებმა, დამსახურებულებმა კი ცოტა უნდა გავიხაროთ.

აბა, ჩემზე გაიგოს იმ მწერალმა! შენა მაშინ ნახე ოინი! მეც მასე შევიცვალე პროფესია. მეყო, რაც ვაგუგუნე ავტობუსები, ახლა სხვამ უსინჯოს გემო.

მე, ლადომ და ვახტომ ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ და შევატყვეთ, რომ შოფრობა ალარაფრის მაქნისია. გზაზე ათასი ინსპექტორი გამოწმებს. ჰოდა, როგორღა იწარმოოს კაცმა! ისევ ლადომ მოიფიქრა. ერთი სარდაფი ჩაგვაბარეს ქალაქგარეთ და იქაურობა თეატრის მხატვარს კაი ჯიგრიანად მოვახატვინეთ. რა ვიცი, ბუხარიო, ტახტებიო, ღვინის კასრებიო, შვლები და ხოხბები, ყველაფერი თეატრივით დახატა.

ჯერაც არ გვქონდა დამთავრებული, რომ მოგვაწყდა ხალხი და რა მოგვაწყდა. მუშტარიც ამას ჰქვია!

მოკვდეს ტაბაჭუა, თუ იმ დიპლომიან გუდაფშუტებს ჩემი ახალი მარიფათებისა არ შეშურდეთ!

ახლა იტრიალე, ტაბაჭუავ, რესტორანში და კრიფე ფულები ვარივარალეთი.

კარგი სახელიც წაუწერია იმ მხატვარს გარედან — „სამხეცეო“. ვახტო წარამარა მისწორებს: „სამხეცე“ კი არა, „სამცხეო“.

დიდებული მხეცი რამეა, არ გინდა ლაპარაკი!

ერთმა ძმაკაცმა მითხრა, წუხელ სიზმარში გნახე, ვითომ შენთან „პერედაჩა“ მომქონდაო. ამიტომ დღეს ცოტა ცუდ ხასიათზე ვარ. ენამ არ უყივლოს იმ სულძაღლს, იმას!

ლილი ფენაშვილი.



კროსვორდი

ჰორიზონტალურად

1. მდინარე ინდოეთში. 6. გარეული ფრინველი. 9. სიმებიანი საკრავის ყელი. 11. დიდი გერმანელი პოეტი და მოაზროვნე. 12. იტალიელი კომპოზიტორი. 15. სპორტული იარაღი. 19. გეომეტრიული მრუდი. 22. ძველი დროის ქართველი ფილოსოფოსი და მწერალი. 24. პატარა ქალაქი რუმინეთში. 25. პატარა მდინარე. 26 ქართველი ისტორიკოსი. 27. მდინარე საქართველოში. 28. ეკლიანი ბალახი. 29. ქალაქი ესპანეთში. 30. სისხლნაკლებობა. 32. სახელმწიფო ამერიკის მატერიკზე. 36. მუსიკის ერთ-ერთი ელემენტი. 37. უნგრელი კომპოზიტორი. 38. ავსტრალიელი საოპერო მომღერალი ქალი. 41. გიგანტური ზომის გადაშენებული ქვეწარმავალი. 42. მონათმფლობელური სახელმწიფო (ძვ. წ.-ის მე-7-6 საუკუნეები).

ვერტიკალურად

2. დიდი ყაზახი მწერალი-განმანათლებელი. 3. ოსკარ უაილდის რომანის გმირი. 4. ტროელი მეფისწული. 5. სახელმწიფო ევროპაში. 7. ნორვეგიელი კომპოზიტორი. 8. ქართული ფოლკლორის პოპულარული პერსონაჟი. 10. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იტალიის გაერთიანებისათვის. 13. მე-17-18 საუკუნეების საფრანგეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი. 14. ჰიუგოს რომანის პერსონაჟი. 16. სატევარი. 17. ქართველი მწერლის ლიტერატურული ფსევდონიმი. 18. სანადირო ძაღლი. 20. ქალაქი პერუში. 21. ალ. ყაზბეგის მოთხრობა. 23. ილ. ჭავჭავაძის მოთხრობის პერსონაჟი. 31. მუნიციპალური მმართველობა. 33. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მმართველი შამილის საიმამოში. 34. შექსპირის ტრაგედიის ქალი პერსონაჟი. 35. ამირანიანის პერსონაჟი. 39. ცნობილი დანიელი ფიზიკოსი. 40. გერმანელი მწერალი.

გარეკანის პირველ გვერდზე: ხევსურები სამაისო ზეიმზე (ზემოთ). ფოტო თ. არჩვაძისა. აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მხატვრები (ქვემოთ). ფოტო ვ. ჯეირანოვისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 9/IV-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/IV-72 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 1,8. ხაღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,1. ტირაჟი 51.100. შეკვ. № 1351. უე 01830.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



ბეთანია.

მეტეხი.

ვ. კილაძე



მთაწმინდა.

ჯვრის მონასტერი.

ИНДЕКС 76056

თბილისის პეიზაჟები

ფოტო ვ. ჩეირანოვისა.